# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 29 ივლისი 1997 №87 (452) ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## დინამომ უნდა წააგოს!

დილმის ბაზაზე კი არ გვიშვებენ, მაგრამ არც ისე გავბოროტებულვართ, ჩრდილოირლანდიელებს მივემხროთ — სათაურში ნახსენებ „დინამოში", ცხადია, მინსკის „დინამო" იგულისხმება, რომელიც ხვალ ფოთში თავისი მცირე უპირატესობის შენარჩუნებას შეეცდება. ბელარუსების დელეგაცია დღეს დილით გამოფრინდება ჩარტერული რეისით მინსკიდან და წესით, ჩვენი დროით დღის სამის ოც წუთზე სენაკში უნდა ჩამოვიდეს. სტუმრები ქობულეთის „ინტურისტში" დაბინავდებიან. ერთი კარგი ცნობაც „კოლხეთის" ხელმძღვანელობისთვის. უფრო სწორად, ორი. ვერ გამოჯანმრთელდა მცველი ლავრიკი, ვინც მენისკის ოპერაციის გამო პირველი თამაშიც გამოტოვა; და კიდევ — დინამოელთა მარჯვენა მცველი ლუხვიჩი სენაკის მაგივრად გუშინ მოულოდნელად ნაბერეჟნიე ჩელნიში გაფრინდა — იქაურ „კამაზში" უნდა გავესინჯოო. ასე რომ, „ოქროს საწმისისთვის გზაზე" მინსკელებმა პირველი დანაკარგი უკვე განიცადეს.

## დინამო მარგვეთი არ არის, თუმცა...

სასწაულები იშვიათად ხდება, ჰოდა, ვიმედოვნოთ, რომ ხვალ ეროვნულზე იშვიათი შემთხვევა არ მოხდება და ჩვენი ჩემპიონი ბელფასტში მიღწეულ ორბურთიან უპირატესობას ქარს ისე არ გაატანს, როგორც შარშან „მარგვეთმა" მოახერხა. მერე კი, თუ ყველაფერი კარგად დამთავრდა, იქნება „ლევერკუზენი", ვისთანაც „დინამოს" ისეთივე შანსები გააჩნია, როგორიც ერთი კვირის წინ „კრუზეიდერსს" ჰქონდა. მაგრამ ახლა ამაზე ფიქრი ნაადრევია — ჯერ ხვალ, საღამოს რვა საათზე ეროვნულს ვესტუმროთ და ჩვენს უპირველეს გუნდს საპასუხო მატჩშიც გამარჯვებაში შევუწყოთ ხელი.

„დინამო" დილმის ბაზაზე ემზადება. სულ ესაა. აქ თბილისელთა მზადებაზე მეტს ვერაფერს გეტყვით, რადგან კლუბის პრეზიდენტი თბილისში არაა, მის გარეშე კი... ტრადიციულად, ბაზის კარები „სარბიელისთვის" დახშულია (ძველებს უთქვამთ, სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო და რა გასაკვირია, რომ მავანს ჩვენი გაზეთი გულზე არ ეხატებოდეს). ჩვენც უკვე აღარ ვართ იმ ხნისანი, ლობე-ლობე ვიძრომიალოთ. იმედია, გაგვიგებს მკითხველი, ვისთვისაც ვმუშაობთ და, როგორც გვგონია, ვისთვისაც თამაშობს იგივე „დინამო" თუ სხვა გუნდი. საუბედუროდ, დღემდე ვერ მივაღწიეთ კლუბებთან თუ ნაკრებებთან ცივილიზებულ ურთიერთობას. დღემდე არავის მოსდის აზრად, საქართველოში დაბრუნების შემდეგ ნახევარსაათიანი პრესკონფერენცია მაინც გამართოს, ანდა გუნდში მომხდარი ამბავი პრეს-ატაშის შემწეობით გვამცნოს. ეს პრეს-ატაშეები ხომ საერთოდ რა ფუნქციებს ასრულებენ, გაუგებარია. სხვა კლუბებზე საერთოდ არ ღირს საუბარი, თბილისის „დინამოში" კი, რომელიც სხვა ქართულ გუნდებზე ბევრად შორსაა წასული, პრეს-სამსახურის მთელ ფუნქციას ისევ და ისევ... მერაბ ჟორდანია ასრულებს. მწვრთნელები? მატჩისშემდგომ აუცილებელ პრესკონფერენციაზეც ხასიათის მიხედვით გვესტუმრებიან ხოლმე. ნუთუ ძალიან ძნელია, ვინმემ მოიფიქროს და შეკრებაზე მყოფ გუნდს ჟურნალისტებთან, მათივე საქმის პოპულარიზაციას რომ ეწევიან, კონტაქტის პროგრამა შეუმუშავოს — ამ დღეს მობრძანდით, აი, იმ დღეს კი ტყუილად ნუ მოასკდებით დილომში (წყალტუბოში, ყვავილნარში, სალორიაში, ანაც თუნდაც სენტ ოლბანში) — დახურული ვარჯიშიაო. ჩვენც აღარ მოგვიწევს ფეხბურთელთა, მწვრთნელთა თუ სხვათა ოჯახებში გამუდმებული რეკვა, მათი მანქანების უადგილო ადგილას გაჩერება და სხვა ათასი, ჩვენთვის და მათთვის არცთუ სახარბიელო მეთოდით მუშაობა.

სიტყვა გაგვიგრძელდა, თუმცა უსაფუძვლოდ არაფერი გვითქვამს. ეს იმის ასახსნელად დაგვჭირდა, თუ როგორ ხდება, რომ ხანდახან მეტოქე გუნდებზე უფრო მეტ ინფორმაციას ვფლობთ, ვიდრე ჩვენებურებზე.

ისე, საბედნიეროდ, „დინამო" მარტო დილმის ბაზა და იქ ჟურნალისტთა არშეშვების თაოსანი არაა. „დინამო" ბევრად მეტია. ჰოდა, არის ხალხი, ვისაც არც პროფესიონალიზმი აკლია და არც უსაფუძვლო ამბიციებს დაუბრმავებია. უბრალოდ, სალად აფასებენ მოვლენებს და თავიანთ საქმეს აკეთებენ — მეორე გვერდზე კლუბის ვიცე-პრეზიდენტ რომან შოთაძესთან ინტერვიუს იხილავთ.

ვაჟა ფოლადიშვილის ფოტო



თბილისს დიდი ძიუდო დაუბრუნდა: სპორტის სასახლეში შეკრებილებმა მონატრებული ორთაბრძოლები იხილეს

## დინამოში ახალი მწვრთნელია

ხვალ ევროპაში ევროტურნირების შესარჩევი წრის განმეორებითი მატჩებია. ცხადია, შესარჩევ წრეში ბობოლა გუნდები არ მონაწილეობენ. მით უმეტეს, შესარჩევის შესარჩევში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გათამაშებას ამ ეტაპზეც არ აკლია ის დაძაბულობა და ინტრიგა, რომელიც ფეხბურთს მუდამ თან სდევს.

მწვავედ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს „კროაცია" და „პარტიზანი". არც ცსკა — „სტიაუას" მოაკლდება ინტერესი, მაგრამ, წინასწარი ცნობების მიხედვით, ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული მატჩი მაინც ბუქარესტში გაიმართება, სადაც ადგილობრივი „დინამო" ისლანდიის „რეიკიავიკს" უმასპინძლებს. პირველ შეხვედრაში კუნძულზე რუმინელთა სენსაციურმა მარცხმა 0:2, „დინამოს" პრეზიდენტი კორნელ დინუ რომელიც 1992-93 წლებში ქვეყნის ნაკრებს წვრთნიდა, ძალზედ გააცოფა. მან საპასუხო მატჩს აღარ დაუცადა და მთავარ მწვრთნელის პოსტზე კორნელ ტალნარი შეცვალა. „გუნდის ხელმძღვანელებმა ფეხბურთელები მატჩისადმი ვერ განაწყვეს. ამით მოთამაშეების გამართლებას არ ვცდილობ. ისინი მოყვარულებთან წაგებისთვის საკადრისად დაისჯებიან და თუ ისლანდიურ ბარიერს ვერ გადალახავენ, ჯარიმები უფრო გამკაცრდება" — განაცხადა დინუმ. მისმა მეტოქემ ჰარალდურ ჰარალდსონმა თქვა, რუმინეთში კარგ ხასიათზე მივდივარ და გუმანით ვგრძნობ, ამ ეტაპს გადავლახავთო. არის „დინამოს" ისტორიაში ანალოგიური შემთხვევა, როცა რუმინეთში ეს მეტად პატივცემული კლუბი გაცილებით სუსტ მეტოქესთან მარცხდებოდა. ასე განსაჯეთ, 1986-87 წლების თასების თასის გათამაშებაში ბუქარესტელები პირველ წრეში გასვლაზე ალბანეთის „17 ნენტორისთან" დამარცხდნენ, შინ ვერ მოიგეს და გავარდნენ.

მიუხედავად არასასურველი მდგომარეობისა, დინუ ოპტიმისტურადაა განწყობილი და ერთობ დარწმუნებული აცხადებს, მეტოქეს დავამარცხებთ და შემდეგ წრეში გავალთო.

## მსტოვრებმა ამბავი წაიღეს ნეტავ, როგორი?

იყო დრო, თბილისის საერთაშორისო ტურნირს მსოფლიოს მცირე ჩემპიონატს უწოდებდნენ, ჩვენებურ სახელგანთქმულ ფალავნებს რომ თავი დავანებოთ, თბილისურ ტატამზე მსოფლიოს საუკეთესო ძიუდოისტებს უსახელებიათ თავი — იაპონელებს: იამასიტას, ვატანაბეს, საიტოს, ენდოს, ფრანგებს: რუჟეს, პარიზის, ბელგიელ ვან დერ ვალეს... ეს ლეგენდარული ფალავნები ჩვენიანებთან ერთად წლების მანძილზე ატკბობდნენ ძიუდოს ქართველ გულშემატკივრებს თავიანთი უზადო ოსტატობით. მერე საქართველოში ცხოვრება აირია. ჩვენმა ქვეყანამ ბოლოხანს უამრავი სასიკეთო ტრადიცია დაკარგა. ეს სპორტსაც შეეხო. ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირიც მონატრებად გვექცა. ახლა კი ჩვენი ძიუდოს თავკაცთა ხანგრძლივმა მცდელობამ, აღედგინათ ტურნირი, შედეგი გამოიღო. მართალია, ტურნირს უმაღლესი — „ა" კატეგორიის ნაცვლად ჯერჯერობით „ბ" კატეგორია უბოძეს ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მესვეურებმა, მაგრამ მთავარია, დიდი ძიუდო კვლავ დაუბრუნდა საქართველოს. ტურნირის გაკეთილშობილება კი მომავლის საქმეა.

იხილეთ მეექვსე გვერდი

## შტეფის მამა უტირეს

გუშინ გერმანიაში კვლავ განახლდა ბოლო ათწლეულში ქვეყნის სპორტული ცხოვრების ყველაზე გახმაურებული სასამართლო პროცესი. საქმე შეეხება ცნობილ ჩოგბურთელ შტეფი გრაფის მამას პეტერს, რომელსაც ბრალად ედება შვილის შემოსავლების დამალვა და გადასახადების უგულებელყოფა. 1995 წლის გაზაფხულზე გერმანიაში ატეხილმა აჟიოტაჟმა დიდი რეზონანსი ჰპოვა და საქმეც სულ უფრო და უფრო გახმაურდა. პოლიციამ დაადგინა, რომ მამამ მაქინაციების წყალობით სახელმწიფოს დაუმალა 6 მილიონ 500 ათასი დოლარი. ტყუილს მოკლე ფეხები აღმოაჩნდა და პეტერიც ჩავარდა.

ქალაქ მანჰაიმის სასამართლომ 1995 წელს აღძრული საქმის ხელახალი განხილვა ბრძანა, რადგან საპატიმროში მყოფმა პეტერმა უფლებებით ისარგებლა და სასამართლოში პროტესტი შეიტანა. წარსულს თუ გადავხედავთ, გავიხსენებთ, რომ მართლმსაჯულება მას ლმობიერად მოექცა და სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯა, რომლის ნახევარი მსჯავრდებულმა უკვე მოიხადა. ახლა სასამართლოს გადაწყვეტილებით ჯანმრთელობის გაუარესების გამო პეტერ გრაფი ციხის ჰოსპიტალში გადაიყვანეს, სადაც პირველადი დახმარებისა და ფიზიოთერაპიული გამოკვლევის ჩატარების შემდეგ მას სასამართლოს წინაშე ხელმეორედ წარადგენენ. პეტერთან ერთად მართლმსაჯულებას გრაფთა ოჯახის კონსულტანტი, ადვოკატი იაკიმ ეკხარდი წარუდგება, რომელიც დანაშაულში თანამონაწილეობაშია მხილებული. მისი პირველადი განაჩენი ორწლიან პატიმრობას ითვალისწინებდა. პრესა ვარაუდობს, რომ საპატიმროს ორივე ვადაზე ადრე დატოვებს.

ისე, თავიდან საგადასახადო ინსპექცია შტეფის უცოდველობაშიც დაეჭვდა, თუმცა, გამოძიებამ ცხადყო, რომ სპორტსმენს მამისა და ადვოკატის შავბნელ საქმეებთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა.

## მაყურებელს შემოდგომამდე დაემშვიდობებიან

დღეს ვაკეში ზაფხულის ბოლო მატჩია. ერთმანეთს ქვეყნის სარაგბო პირველობის ლიდერი „ყოჩები" და რკინიგზის „ქორები" ეთამაშებიან.

თუმც სინი „ყოჩებს" უპყრიათ, გუშინ ჯერაც უცნობი იყო, „ქორები" ამ ჯილდოს თუ შეეცილებიან მფლობელს. ასეა, თუ ისე, მაინც გამორჩეული თამაშია მოსალოდნელი.

მატჩის დაწყების სავარაუდო დრო ტრადიციული, საღამოს 7 საათია.



# გერმანული ბა(რ)იერის წინ

**ყველაფრის მიუხედავად, „დინამოს“ დირექტორატის წევრებთან საუბარი პრობლემა არასოდეს ყოფილა და არც ახლაა. მერაბ ჟორდანიას თბილისში არყოფნის გამო კლუბის ვიცე-პრეზიდენტს**

რომან შოთაძეს

მივაკითხეთ და „დინამოს“ ბოლოდროინდელ ამბებზე ვესაუბრეთ. პირველად კი „დინამო“ — „მრეტებს“ შორის გაუყოფელი თანხის შესახებ ვკითხეთ.



— ვინც „მრეტებისა“ და „დინამოს“ კონტრაქტი წაიკითხა, შეიტყობდა, რომ „მრეტებს“ მხოლოდ იმ შემთხვევაში ეკუთვნოდა გიორგი ქინქლაძის ტრანსფერიდან წილი, თუ ფეხბურთელი „დინამოში“ თამაშის დაწყების დღიდან ორ წელიწადში გაიყიდებოდა. ჩვენ კანონს ვიშველიებთ, მავანნი კი მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის აზრს ითვალისწინებენ. „მრეტებს“ ერთი თეთრიც არ ეკუთვნის.

როცა ქინქლაძემ პირველად გააფორმა „დინამოსთან“ კონტრაქტი, ასეთი შეთანხმება იყო: იმ სატრანსფერო თანხიდან, რომელსაც ფეხბურთელში გადაიხდიდნენ, ნაწილი ფეხბურთელს ეკუთვნოდა, ნაწილი კი მენეჯერებს, რომლებიც საქმეს აკეთებდნენ. ეს ტრანსფერი რომ ორი წლის განმავლობაში გახერხებულიყო, „მრეტებს“ პრეტენზიის საფუძველი ექნებოდა. თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, ის კონტრაქტიც შეცდომით გაეფორმებინათ თავის დროზე, რასაც იურისტებიც ამტკიცებენ.

**— ესე იგი, „მრეტებს“ არაფერი ეკუთვნის?**

— არაფერი. სხვათაშორის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასაც ისევე უნდა ეგო პასუხი კონტრაქტის პირობების შესრულებაზე, როგორც დანარჩენ მხარეებს. რატომღაც, ამ ბოლო დრომდე არაფერს ამბობდნენ, ფედერაცია საქმეში მხოლოდ ექვსი თვის წინ ჩაერია.

**— სხვა მოსალოდნელ ტრანსფერებზეც გკითხავთ. ამბობენ, „კრუიზეიდერსთან“ თბილისური მატჩის შემდეგ ბევრი ფეხბურთელი აპირებს გუნდის დატოვებასო.**

— ჯერჯერობით არაფერი გადაწყვეტილა. საქმე ისაა, რომ ბელფასტის მატჩს რამდენიმე ბრიტანული კლუბის წარმომადგენელი დაესწრო და ჩვენს ფეხბურთელებსაც თვალი დაადგეს. წინასწარ არ მინდა გვარების დასახელება, მაგრამ „არსენალის“, „შეფილდისა“ და სხვა კლუბების მენეჯერებს ძალიან მოეწონათ ჩვენების თამაში. თუმცა, ეს ხალხი ერთი თამაშით ფეხბურთელის ბედს არ წყვეტს. ისე გეტყვით, რომ ბევრს მართლაც უჭირავს თვალი უცხოეთზე და ამიტომ გუნდის თითქმის მთლიანად გაახალგაზრდავება მოგვიწევს. ბელფასტში ტრიბუნაზე ჩვენს გვერდით მსხდომთა უმეტესობა უცხოელი დამკვირვებელი იყო. ცოტა არ იყოს, გაკვირვებულიც კი დავრჩი, ამდენი სპეციალისტი რომ ადევნებდა თვალს დინამოელებს. ყველამ სამი, ოთხი ფეხბურთელი მოინიშნა ჩვენი გუნდიდან. რაც შეეხება „კრუიზეიდერსთან“ მატჩის მერე გუნდის დატოვებას, თავად ფეხბურთელების აზრს გეტყვით. ისინი ამბობენ, თუ „დინამო“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში მოხვდება, არსად წამსვლელები არ ვართო. მართლებიც არიან — ჯგუფში თუ მოვხდით, კლუბის ფინანსური მდგომარეობა ხომ ბევრად გაუმჯობესდება. წარმოიდგინეთ, მარტო ჯგუფურ ტურნირში მონაწილეობისთვის უეფა 2 მილიონ შვეიცარიულ ფრანკს გადმოგვირიცხავს, შემდეგ მოპოვებული ყოველი ქულა კი 500 ათას ფრანკად ფასობს, ხოლო ერთი მოგება მილიონნახევარი ფრანკია.

**— სანამ უეფა ფულს გადმოგირიცხავდეთ, „ბაიერი“ უნდა დაამარცხოთ, მანამდე კი „კრუზეიდერსი“.**

— ფაქტობრივად, შემდეგ ეტაპზე გასულები ვართ. თუმცა, არც „მარგვეთის“ შარშანდელი შეცდომები უნდა დავივიწყოთ. გამორიცხული არაფერია, მაგრამ მე უფრო მგონია, ბიჭები მეორე თამაშშიც გაიმარჯვებენ. „ბაიერზე“ კი რა მეთქმის. წილისყრამ ყველაზე სერიოზული მეტოქე მაინცა და მაინც ჩვენ შეგვახვედრა. ინფორმაციების ნაკლებობას არ ვუჩივით. „ბაიერის“ მონაწილეობით ორი მატჩის ფირი გვაქვს. მერაბ ჟორდანია ლევერკუზენელთა ერთ-ერთ თამაშსაც დაესწრო გერმანიის ლიგის თასის ექვსთა ტურნირზე. მოკლედ, ძლიერ მეტოქესთან მოგვიწევს შეპაექრება. რა თქმა უნდა, ჩვენი შანსები ძალიან მცირეა, მაგრამ ფეხბურთელებს დასაკარგი არაფერი აქვთ — ასეთ მეტოქესთან თამაში ხომ ყველაზე კარგი საშუალებაა თავის გამოსავლენად, მათაც საკუთარ თავს უნდა აჯობონ.

**— ეროვნულ სტადიონზე რემონტი რომ დაიწყო, „კრუზეიდერსს“ სად უმასპინძლებთ?**

— რემონტი კი დაიწყო, მაგრამ ირლანდიელთა მასპინძლობას მაინც შევძლებთ. სკამებს მხოლოდ დასავლეთ ტრიბუნებიდან აიღებენ, რათა იტალიელებთან მატჩამდე 2 500 ინდივიდუალური სკამის დამონტაჟება მოესწროს. სამუშაოების პირველი ეტაპი ამით დამთავრდება, მატჩის შემდეგ კი კვლავ გაგრძელდება. ამ თამაშს იტალიელი სპონსორებიც დაესწრებიან და კარგი იქნება, თუ თავად ნახავენ, სამუშაოები დაწყებული რომ არის. შაბათს სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი ამჟამად თბილისში მყოფ „ფინეურო კონსტალტინგის“ ხელმძღვანელებს შეხვდა. სახელმწიფო მინისტრმა იტალიელებს უთხრა, საოცარია, თქვენ თვითონ რომ დაგვაჩქარებინეთ სტადიონზე რემონტის დაწყებაო, სტუმრებმა კი უპასუხეს, ჩვენ კი არა, „დინამოს“ დამსახურებაა, ესენი შეგვეხმიანნენ პირველადო.

**— იტალიელებთან მატჩის შემდეგ სტადიონი დაიხურება?**

— არა, არ დაიხურება. ყველაფერი ეტაპობრივად მოხდება. მატჩის შემდეგ სტუმრები თბილისში დარჩებიან და ჩვეულებრივ გააგრძელებენ მუშაობას. სახელმწიფო მინისტრთან იმაზეც ითქვა, რომ მთლიანად გარემონტდება ტერიტორია სტადიონიდან სანაპირომდე და ლუდის ბარამდე. აპირებენ ბავშვთა კომპლექსის, სასტუმროების, მაღაზიების აშენებას.

**— ისევ ფეხბურთს დავუბრუნდეთ. ბელფასტში „ბაიერის“ მწვრთნელი კრისტოფ დაუმიც ჩამოვიდა.**

— დაუმს ადრეც ვიცნობდით — ჯერ კიდევ მაშინ, როცა „ბეშიქთაშს“ წვრთნიდა. საქმიანი შეხვედრა არ გვქონია, კონკრეტულად არაფერზე გვისაუბრია. ის კი ვიცით, რომ დაუმი დიდად აფასებს ქართველ ფეხბურთელებს. თურმე, მთელს გერმანიაში ინტერესით ელიან „დინამოსთან“ მატჩს, მათთვის უზარმაზარი პრესტიჟია ჩემპიონთა ლიგაში სამი გუნდით თამაში. ყველა გერმანელის ყურადღება ამ მატჩისკენაა მიპყრობილი. რატომღაც ლევერკუზენელებმა ჩვენზე ადრე იგუმანეს, მეტოქედ „დინამო“ რომ ეყოლებოდათ. როდის როდის, ჯერ კიდევ ბელფასტის მატჩამდე ოთხი დღით ადრე ჩამოვიდა თბილისში „ბაიერის“ წარმომადგენელი და ყველაფერი წინასწარ დაგეგმა, სასტუმროც კი დაჯავშნა.

**— ერთი სიტყვით, თუ „ბაიერის“ ბარიერი ვერ დაძლიეთ, ფაქტობრივად, ახალი გუნდის შექმნა მოგიწევთ. 8 აგვისტოს კი ეროვნული ჩემპიონატი იწყება.**

— მწვრთნელებს მართლაც დიდი პრობლემა აქვთ. გუნდს ჩემპიონთა ლიგის თამაშებისთვის ამზადებენ, შემდეგ, ღმერთმა ნუ ქნას და, თუ გამოვვარდით, უეფას თასისთვის ბრძოლა გველის. ამ დროისთვის კი, შესაძლოა, „დინამო“ ბევრმა ფეხბურთელმა დატოვოს. ჩემპიონატშიც ახალი შემადგენლობით მოგვიწევს თამაში. წარმოიდგინეთ, გუნდს ანჩაბაძე, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, ზოიძე, ყიზილაშვილი რომ დააკლდებიან. მათი შემცვლელები ხომ უნდა მოვიძიოთ. მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენი მიზანი დუბლის შესრულებაა. გუნდიც ახალგაზრდული იქნება, შარშანდელზე ახალგაზრდული...

ძოწა ინასარიძე

# კოპალეიშვილის კაპელოს მიმდევარია

**ვახტანგ კოპალეიშვილი საქმეებში ჩაფლული ვნახეთ. იგი გამარჯვების შემდეგ შეცვლილი არ ჩანდა, ქედმაღლობის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა. არადა, მისი ხელმძღვანელობით საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრებმა პორტუგალიაში ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებზე პირველობის დიდი სიხარული მოგვანიჭა.**

— **რა თქმა უნდა**, ყველა მწვრთნელი გამარჯვებაზე ფიქრობს, მაგრამ, რა დაგიმალოთ, ასეთ წარმატებას მაინც ვერ დავგეგმავდი. მით უფრო, რომ პირველი შეხვედრა მასპინძელ პორტუგალიასთან გველოდა. მათ მართლაც ძლიერი გუნდი ჰყავთ. დარწმუნებული ვარ, გავა დრო და ამ ნაკრებიდან ბევრი კარგი ფეხბურთელი დადგება. ვფიქრობ, ისინი ზედმეტმა თავდაჯერებულობამ დაღუპა. ეტყობა, წინასწარ ჩათვალეს, რომ ჩვენთან და აზერბაიჯანთან აუცილებლად მოიგებდნენ. მართლა საოცრება კი მოხდა, ასეთი რამ იშვიათობაა — ჩვენმა ბიჭებმა მოედანზე მთელი თავიანთი უნარი გამოავლინეს. ერთგვარი უპირატესობაც გვქონდა — მასპინძლები ჩვენთან შეხვედრის წინა დღეს აზერბაიჯანს ხვდებოდნენ. ასე რომ, ჩვენ ორივე მეტოქის თამაშის ანალიზის საშუალება მოგვეცა. თანაც შეხვედრა ფრედ 2:2 დასრულდა და იმედი ჩაგვესახა. მაგრამ იმედი იმედია და ყველაფერი მაინც თამაშზე უნდა გარკვეულიყო. ვფიქრობ, პორტუგალიელებს თამაშის ხარისხით ვაჯობეთ, ბიჭები გასაოცრად ბრძოლის უნარიანნი იყვნენ. ამას დაემატა ჩვენთვის დამახასიათებელი ნიჭიერება, რაც, თავად დავრწმუნდი, დიდი ძალა აღმოჩნდა. ჩვენს გამარჯვებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გუნდში შექმნილმა ატმოსფერომ — ჩემი თანაშემწე თამაზ კაცია, ექიმი დათო იოსელიანი და ფედერაციის საგარეო ურთიერთობების განყოფილების თანამშრომელი დათო ნამგალაძე ამაში ძლიერ დამეხმარნენ. ჯერ კიდევ მოსკოვიდან ლისაბონში გადაფრენისას თვითმფრინავში რამდენიმე მოთამაშე მოიწამლა და ექიმსაც დიდი ჯაფა გადახდა მათ მოსაფერიანებლად.

ისევ პორტუგალიასთან შეხვედრას დავუბრუნდები. მიმაჩნია, რომ გამარჯვება უფრო მეტად ფეხბურთელთაგან სათამაშო დისციპლინის დაცვამ განაპირობა. გადაადგილებები, პერსონალური თამაში და ათასი რამ ჩავიფიქრეთ და ბიჭებმა დავალებები ზუსტად შეასრულეს.

**— ჩვენი მოთამაშეებისთვის ტრადიციულ სენად სუსტი ფიზიკური მომზადება ითვლება. ამ მხრივ საქმე როგორ იყო?**

— რა თქმა უნდა, ეს კომპონენტი მოედანზე ბევრს წყვეტს, მაგრამ ჩემი მუშაობა იქითკენ მივმართე, რომ ნაკრებს სწორი ფეხბურთი ეთამაშა და თავის გამოვლენის საშუალება ჰქონოდა. ისე არ გამიგოთ, თითქოს ფიზიკურ მომზადებას ყურადღებას არ ვაქცევდე, მაგრამ მიმაჩნია, რომ მიგნებული ტაქტიკითა და თამაშით ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეიძლება. ფეხბურთი გუნდური თამაშია, იგი ჭიდაობა არ არის, ინდივიდუალიზმით წარმატებას ვერ მიაღწევ. როგორ გახდა 1994 წელს ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონი? მოთამაშეთა ინდივიდუალიზმი გუნდურ თამაშს დაექვემდებარა და წარმატებამაც არ დააყოვნა.

**— რამდენჯერმე ვნახე თქვენი გაწვრთნილი სხვადასხვა ნაკრები საქმეში — პრესინგის გამოყენება, ბურთისთვის აქტიური ბრძოლა და შემტევი სტილი თქვენს ხელწერაზე მიუთითებს...**

— ეს ჩემს სულში დევს. ჩემი საყვარელი მწვრთნელი ფაბიო კაპელო გახლავთ და მის სტილს მივდევ. კაპელოს გუნდების თამაშის მანერას სამაგალითოდ მივიჩნევ. მე ახლა ვსწავლობ მწვრთნელობის ანბანს, მაგრამ სულაც არ სჭირდება დიდი ჩაფიქრება იმას, რაც ზემოთ ვთქვი — გუნდური თამაშის გარეშე წარმატება მიუღწეველია. თუნდაც სულ ვარსკვლავებით დაკომპლექტებული გუნდებისთვის. და რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია — მოთამაშე ბევრს უნდა მოძრაობდეს და მოწინააღმდეგეს ამოსუნთქვის საშუალებას არ უნდა აძლევდეს. კოლექტიურ თამაშში არც მოთამაშეთა ინდივიდუალური თვისებები უნდა იკარგებოდეს. ეს კი ახალკაცის „დინამოში“ კარგად იყო შეხამებული. იმ გუნდს, წარმატებებიც თან სდევდა. ჩვენც, ახალგაზრდა მწვრთნელებმა, წარსულიდან რაღაც უნდა ვისწავლოთ, კარგი გადმოვიღოთ და ცუდი უარვყოთ.

სხვათაშორის ნაკრების წევრებში ბევრი კარგი თვისება დავინახე. მართალია ჯერ კლასი და გამოცდილება აკლიათ, მაგრამ შრომისუნარიანობის, დისციპლინისა და პატრიოტიზმის ნაკლებობას ნაღდად არ განიცდიან.

**— გამარჯვებულთაგან უხერხულიც კია ვინმეს გამორჩევა, მაგრამ ნაკრების ლეგიონერებზე მაინც მინდა გკითხოთ — სტანტარდელ ლაშა ჯაკობიასა და ლატვიაში მოთამაშე ცეზარ ხუროძეზე რა აზრის ხართ, მათ მართლაც მნიშვნელოვნად მოუმატეს თამაშს?**



კოპალეიშვილი ხელებს იფშვნეტს — ახლა წინ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირია

— ორივე პროფესიონალი გამხდარა. მართალია, ლატვია, სადაც ხუროძე თამაშობს, ფეხბურთში დიდი დონით არ გამოირჩევა, მაგრამ მას ნორმალური სავარჯიშო პირობები ჰქონდა და მოუმატა. პორტუგალიაში ნაკრებისთვის სასარგებლო მოთამაშე იყო. ჯაკობიაც ძალიან მოღონიერებულა. მოედნიდან ნაომარი გადიოდა, რომ იტყვიან, გაზრდილია, თუმცა ორივეს კიდევ მუშაობა სჭირდება, ისევე როგორც სხვებს, რომლებსაც ლეგიონერთა მსგავსი პირობები არა აქვთ, მაგრამ მათზე ნაკლებ ნიჭიერნი არ არიან.

**— პორტუგალია ფინალს მიღმა დატოვეთ. რა რეაქცია ჰქონდათ?**

— ჩვენგან ასეთ წინააღმდეგობას ნამდვილად არ ელოდნენ. ჯერ გაუკვირდათ, შემდეგ კი გამწარდნენ. მადლობა ბიჭებს, რომ მათ არ აჰყვნენ. ისე, შეხვედრის შემდეგ მოგება კაცურად მოგვილოცეს. ასევე იყო ფინალის შემდეგაც. სხვათა შორის აზერბაიჯანის ნაკრები სწორედ ის გუნდია, რომელსაც ტალინში „დინამომ“ 6:1 მოუგო. ჩვენი მეზობლები მათზე დიდ იმედებს ამყარებდნენ და როგორც გავიგე, რამდენიმე წელია, ამ გუნდს აყალიბებდნენ. გულახდილად რომ ვთქვათ, რატომღაც ეჭვი მეპარება, რომ ისინი მართლა 1980 წელს დაბადებულნი არიან. უფრო დიდი შეხედულება აქვთ.

**— ასეთ შეჯიბრებებზე დასწრების საშუალებას სელექციონერები ხელიდან არ უშვებენ, ნიჭიერი მოთამაშეები რომ გადაიბირონ. თქვენ არავინ დაგლაპარაკებიათ?**

— სელექციონერები მართლაც იყვნენ. ჩემთან არვინ მოსულა, მაგრამ გავიგე, რომ რამდენიმე მოთამაშით პორტუგალიური და ბელგიური გუნდების წარმომადგენლები დაინტერესდნენ.

**— ახლა მომავლის გეგმებზეც ვისაუბროთ. 18 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ქვეჯგუფის თამაშები კარს მოგვადგა. საამისოდ მომზადებას როდის დაიწყებთ?**

— 4 და 6 აგვისტოს ერევანში სომხეთის ნაკრებთან საპასუხო ამხანაგურ მატჩებს ჩავატარებთ. სხვათაშორის, სომხები აქაური მსაჯობით უკმაყოფილონი დარჩნენ და აქვე „გაგვახარეს“, განმეორებით შეხვედრებში სამაგიეროს გადაგიხდითო. მართლაც ზედმეტად არაობიექტური თუ არ იქნა მსაჯი, ვფიქრობ, ნორმალურ შედეგს უნდა მივაღწიოთ. ნაკრებში იგივე 18 მოთამაშეს ვუხმობ, რომლებმაც მცხეთასა და თბილისში ითამაშეს. ეგაა, რომ ბელგიიდან ჯაკობია ვერ ჩამოვა. პორტუგალიაში გამარჯვებულთაგან კი ამ თამაშებისთვის ხუთ კაცს დავუმატებთ. რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს, მისთვის მზადებას აგვისტოს ბოლოს დავიწყებთ, 7 სექტემბრიდან კი შეკრებაზე გადავალთ. სად, ეს ჯერ არ გადაგვიწყვეტია.

მერაბ მამულაშვილი

## აგვისტოში რუსები გვესტუმრებიან

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვლადიმერ გუცაევის თქმით, 20 აგვისტოს ჩვენი ახალგაზრდები თბილისში რუს თანატოლებს უმასპინძლებენ. შეგახსენებთ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსთა ნაკრები მხოლოდ ერთხელ გვესტუმრა. შარშან მათი 1979 წელს დაბადებულები საქართველოს 18 წლამდელებთან 1:4 დამარცხდნენ, 16 წლამდელებთან კი 1:0 გაიმარჯვეს.

სარეკლამო სააგენტო
კოკი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

ეროვნული ბიბლიოთეკა



## კვეტენაძე ტორპედოს დაუბრუნდა...

გაზაფხულზე ქუთაისის „ტორპედომ“ „კოლხეთიდან“ შალვა ხუჯაძე რომ გადაიყვანა, ამის საფასური კარგა ხანს გადაუხდელი ჰქონდა. ახლა, მართალია, უფროსი ხუჯაძე ტრავმირებულია, მაგრამ ვალი ვალია. ტრავმა მიიღო „ტორპედოდან“ „კოლხეთისთვის“ საუეფასთასოდ მითხოვებული ოთხი ფეხბურთელიდან ორმაც. ხვადაგიანი და ქებაძე მწყობრში არიან, მაგრამ მეტრეველმა საკონტროლო მატჩში მუხლი დაიზიანა. ამას დაემატა ისიც, რომ ვარჯიშზე კოჭი იტკინა და მინსკის „დინამოსთან“ სათამაშოდ გამაყუჩებლებით გასულა კვეტენაძე, მაგრამ ვერ გაუძლო. რაკი კვეტენაძეც ფოთელებს მხოლოდ საპირველეტაპოდ ეკუთვნოდათ, იგი გუშინწინ „ტორპედოს“ დაუბრუნდა და ტრავმას იშუშებს.

გაისტუმრებს თუ არა ამით ზღვისპირელთა ვალს „ტორპედო“, ჯერაც უცნობია. ფოთელები ხომ თავად მოთამაშეებს მაინც უხდიან 1 000-1 000 ლარს მინსკის „დინამოსთან“ ორი თამაშისთვის.

## ...ზამთარაძე დინამოს

დინამოელი ზაზა ზამთარაძე ფოთის „კოლხეთს“ უეფას თასის პირველი ეტაპის მატჩებში უნდა დახმარებოდა, მაგრამ სოსო ფილიამ მინსკის „დინამოსთან“ გასვლითი მატჩისას ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ გამოუნახა. ეტყობა, კოლხთა თავკაცმა მარჯვენა მცველად გიორგაძის დაყენება მისი სისწრაფის გამო ამჯობინა, მაგრამ ამან მაინცდამაინც ვერ გაამართლა და პირველ ტაიმშივე შესაცვლელი შეიქნა. ზამთარაძე არც შეცვლაზე გამოსულა, რაც ერთობ გასაკვირია. გასაკვირია, თუნდაც იმიტომ, რომ ფილიამ ორიოდ კვირის წინ განგვიცხადა, ზამთარაძის ერთი წლით დატოვებას ვაპირებთო.

თავად ფეხბურთელმა გუშინ გვითხრა, რომ კუთვნილი თანხის ნახევარი აიღო, ფოთელებს დაეთხოვა და თბილისის „დინამოსთან“ ერთად გუშინვე განაახლა ვარჯიში.

## ვიტალი „სტანდარდს“ შეუგულებია

გახსოვთ, ალბათ, „ბათუმის“ ნახევარმცველი, დიუსელდორფში ოქროს გოლის გამტანი ვიტალი დარასელიას ვაჟი, უმცროსი ვიტალი იანვარში უკრაინის I ლიგის „ცსკა-2“-ში რომ ჩაირიცხა. როგორც ჩანს, დარასელიას დრო უქმად არ დაუკარგავს: იგი „ცსკა-2“-ის კაპიტნადაც აირჩიეს. ერთ-ერთი შეხვედრისას იგი უკრაინაში მყოფ ბელგიელ სელექციონერს შეუნიშნავს.

„თამაშის შემდეგ ბელგიელი დამელაპარაკა, — გვითხრა დარასელიამ, — ლიეჟის „სტანდარდში“ გადასვლა შემომთავაზა. თავიდან მეგონა, ეს ცარიელ სიტყვებად დარჩებოდა, მაგრამ ამ ერთი. კვირის წინ ბელგიიდან კვლავ შემეხმიანნენ და ორწლიანი კონტრაქტის გაფორმებასაც ყოველგვარი გასინჯვის გარეშე მთავაზობენ.“

## არ დაშლილა, მხოლოდ დრტვინავს

მერამდენე წელია, ლანჩხუთის „გურიას“ ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას. გურულებს გუნდის უფროსი გულსუნდა დუნდუა ღმერთმა უცოცხლოთ და იმას ყოველთვის მოახერხებენ, რომ პირველ წრეში დასარჩენად სამყოფი ქულები მოაგროვონ. „გურია“ წელსაც შეკოწიწდა. მართალია, წამყვანი ფეხბურთელები „მერანსა“ თუ „ოდიშში“ წაუვიდა, მაგრამ ბევრიც შეიმატა. ყოველ შემთხვევაში, ამჟამად „გურიაში“ კოლხყოფილნი — ბულუხია, ქუნთელია, თიბილაშვილი და ინიაშვილი ვარჯიშობენ. აქვეა „მეტალურგიდან“ დაბრუნებული ბერიძე, ქუთაისელ ფეხბურთელთა ერთი ჯგუფი, „მეშახტეს“ ყოფილი მეკარე ვარდანიძე, აქამდე თამაშისთვის თავმინებებული ჯავახაძე, ტორპედო-2-ელები გაბუნია, აბუთიძე და კვერნაძე, ასევე კოლხეთი-2-ელი პაპავა. ამ შემადგენლობით „გურია“ ახლახან „ოდიშს“ ეთამაშა და 1:3 წააგო.

## ამბავი აფხაზი ჭაბუკებისა

კრასნოდარის მხარის ქალაქ ბელორეჩენსკში რუსული ფეხბურთის ასი წლისთავისადმი მიძღვნილი ჭაბუკთა ტურნირი გაიმართა. სოხუმში გამოვავალი გაზეთი „რესპუბლიკა აბხაზია“ (იმათი პარლამენტის ორგანო) იუწყება, რომ ამ ტურნირში რუსეთის, უკრაინის და ბელარუსის სხვადასხვა ქალაქების 9 გუნდთან ერთად აფხაზეთის ჭაბუკთა ნაკრებიც იღებდა მონაწილეობას. გაზეთი დიდი სიხარულით აუწყებს მკითხველს, რომ აფხაზმა ჭაბუკებმა დაამარცხეს კრასნოდარის, ვორონეჟის, აფშერონსკის, კანინსკის და კიდევ ორი უკრაინული გუნდი და გავიდნენ ფინალში, სადაც მასპინძელ ბელორეჩენსკელებს სასტიკი მარცხი — 5:0 აგემეს. ფინალურ მატჩში აფხაზთაგან ბურთები შვიდი გოლით ტურნირის საუკეთესო ბომბარდირმა ასტამურ ციჟბამ (ორჯერ), ასტამურ ვოზბამ, ანრი ხაგუმ და გიგა შოუამ გაიტანეს, გუნდის ხელმძღვანელი კი გაგრის ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი ანზორ გუბაზი იყო, რომელიც, სხვათა შორის, ლენინის ორდენის კავალერია. ძნელი მისახვედრი არაა, რით დაიმსახურებდა ბავშვთა თავკაცი ამ ჯილდოს. ისე, ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა რუსეთში გამართულ სპორტულ ღონისძიებებში აფხაზეთის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ.

**თენგიზ პაჭკორია**

**საგანგებოდ „სარბიელისთვის“**



## გოგობერიშვილი და გუჩუა „დინამოში“

სანამ თბილისის „დინამოში“ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდებოდეს და გუნდს წამყვან ფეხბურთელთა უმეტესობა დატოვებდეს, თბილისელებმა ორი მოთამაშე უკვე შეიგულეს. ყოფილი მერანელი გოგობერიშვილი და ოდიშელი გუჩუა ახალი სეზონიდან „დინამოში“ ითამაშებენ. ის კი არა, შესაძლოა, ახალწვეულებმა ლევერკუზენის „ბაიერთან“ მომავალ მატჩშიც მოსინჯონ ძალა. „დინამოს“ ხელმძღვანელებს მოსაფიქრებელი დრო მიუციათ, ფეხბურთელებსაც ყველაფერი აუწონ-დაუწონიათ და სხვა გუნდებისთვის „დინამო“ უმჯობინებიათ.

### ინტერტოტოს თასი

**ნახევარფინალური ეტაპი, პირველი მატჩები**

INTERTOTO CUP

ჰამბურგი (გერმანია) — ბასტია (საფრანგეთი) 0:1
ნოვგოროდი (რუსეთი) — ჰალმშტადი (შვედეთი) 0:0
ოსერი (საფრანგეთი) — ტორპედო (რუსეთი) 3:0
ისტანბულსპორი (თურქეთი) — ლიონი (საფრანგეთი) 2:1
დინამო (რუსეთი) — დუისბურგი (გერმანია) 2:2
კიოლნი (გერმანია) — მონპელიე (საფრანგეთი) 2:1

საპასუხო მატჩები ხვალ გაიმართება,
ფინალური ეტაპის თამაშები კი — 12 და 26 აგვისტოს.

## გერმანია

თბილისის „დინამოს“ სავარაუდო მეტოქის — „ბაიერის“ მშობლიურ ქალაქ ლევერკუზენში გამართული მატჩით დასრულდა ლიგის თასის გათამაშება, რომელიც ქვეყნის ფეხბურთის მამებმა სუპერთასის ნაცვლად შემოიღეს. ფინალში ერთმანეთს ხვდებოდნენ ჩემპიონი და თასის მფლობელი — „ბაიერნი“ და „შტუტგარტი“. მატჩის პირველი ტაიმი უგოლოდ გასრულდა, 57-ე წუთზე კი ბასლერმა შორეული დარტყმით ულამაზესი გოლი გაიტანა. ვერ ვიტყვით, „შტუტგარტი“ ამ გოლმა გატეხაო, მაგრამ 71-ე წუთზე ელბერმა რომ იმარჯვა, იმის შემდეგ ნაღდად დასამარდა მათი სალიგისთასო იმედები. ანგარიში აღარ შეცვლილა. დამსწრე 15 ათასი გულშემატკივარიც კმაყოფილი დარჩა.

### მეორე ბუნდესლიგა

I ტური. ფიურტი — ზანქტ პაული 0:0, უნტერჰახინგი — მაინცი 3:2, მეპენი — ცვიკაუ 2:1, ურდინგენი — ფორტუნა 2:0, აინტრახტი — დიუსელდორფი 3:2, კარლ ცაისი — ვატენშაიდი 1:1, ლაიპციგი — კიკერსი 3:1, ფრაიბურგი — კოტბუსი 2:0, გიუტერსლო — ნიურნბერგი 4:2

## შვეიცარია

მე-5 ტური: ქსამაქსი — ლუცერნი 1:0, ციურიხი — ბაზელი 0:0, კრიენსი — ლოზანა 0:0, სენტ გალენი — არაუ 2:1, სერვეტი — გრასჰოპერი 3:2, სიონი — კარუჟი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერვეტი | 4 | 3 | 1 | 0 | 10:6 | 10 |
| ლოზანა | 4 | 2 | 2 | 0 | 9:3 | 8 |
| სენტ გალენი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:7 | 8 |
| ციურიხი | 5 | 2 | 2 | 1 | 6:6 | 8 |
| კრიენსი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| სიონი | 5 | 1 | 4 | 0 | 6:5 | 7 |
| გრასჰოპერი | 4 | 1 | 2 | 1 | 12:8 | 5 |
| არაუ | 4 | 1 | 2 | 1 | 6:4 | 5 |
| ლუცერნი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | 4 |
| კარუჟი | 5 | 0 | 3 | 2 | 4:8 | 3 |
| ქსამაქსი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:13 | 3 |
| ბაზელი | 4 | 0 | 2 | 2 | 1:6 | 2 |

## ავსტრია

მე-4 ტური: ზალცბურგი — რაპიდი 5:2, აუსტრია — რიდი 3:0, გრაცერი — ტიროლი 3:0, ლინცერი — ადმირა ვაკერი 1:0, ლუშტენაუ — შტურმი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 4 | 3 | 1 | 0 | 13:3 | 10 |
| გრაცერი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:5 | 9 |
| აუსტრია | 4 | 2 | 2 | 0 | 6:0 | 8 |
| ლუშტენაუ | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| რაპიდი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:7 | 5 |
| რიდი | 4 | 1 | 2 | 1 | 4:6 | 5 |
| ზალცბურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| ადმირა | 4 | 1 | 1 | 2 | 3:7 | 4 |
| ლინცერი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:8 | 4 |
| ტიროლი | 4 | 0 | 0 | 4 | 3:11 | 0 |

## ბურკინა ფასოში მიდიან

გასულ უქმეებზე აფრიკაში მომავალი წლის თებერვალს ბურკინა ფასოში გასამართი აფრიკის თასის შესარჩევი ტურნირის ბოლო ტური გაიმართა. სულ 12 მატჩი უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ სიერა ლეონესა და გვინეას შორის თამაში აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის ბრძანებით არ შედგა. დანარჩენი 11 შეხვედრა დათქმულ დროს გაიმართა. პირველ ჯგუფში ფინალურ ეტაპზე ადრევე გასულ განას ზიმბაბვის 2:1 ძლევის შემდეგ ანგოლაც შეემატა. მეორე ჯგუფში ალჟირმა 2:0 სძლია ბენინი და კოტ დიუვარის მალიზე 4:2 ზეობის წყალობით ფინალურ ეტაპზე მოხვდა. მესამე ჯგუფში მაროკომ მეორე ადგილზე მყოფი სენეგალი 3:0 გაანადგურა. ამით ისარგებლა ეგვიპტემ, ეთიოპია მიწასთან გაასწორა 8:1 და მაროკოსთან ერთად ფინალურ ეტაპზე მოხვდა. მეხუთეში კამერუნმა კენიასთან ფრედ 1:1 დასრულებული შეხვედრით ოფიციალურად გაიფორმა ჯგუფში გამარჯვება. აი ნამიბიამ კი გაბონში 1:1 ითამაშა და პირველად მოიპოვა აფრიკის თასზე ასპარეზობის უფლება. VI ჯგუფში კონგოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ (ყოფილი ზაირი) ტოგო სძლია 1:0 და ეს წყვილიც ბურკინა ფასოში გამოვა. აი; ჟორჟვეას ლიბერიამ კი ტანზანიასთან ვერაფერი გააწყო და დამარცხდა. მეშვიდე ჯგუფში ორივე მასპინძელმა იმარჯვა — მოზამბიკმა 2:1 სძლია მალავი, ზამბიამ კი მავრიკეთი — 1:0.

ამრიგად, გაისად 7-28 თებერვალს აფრიკის ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ მასპინძელი ბურკინა ფასო, სამხრეთ აფრიკა (თასის მფლობელი), განა, ანგოლა, კოტ დივუარი, ალჟირი, მაროკო, ეგვიპტე, ტუნისი, გვინეა, კამერუნი, ნამიბია, ტოგო, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ზამბია და მოზამბიკი.



„სან სიროზე“ რონალდოს 50 ათასი კაცი შეეგება

# არის, ასრულდა ოცნება!

მოხდა ის, რასაც „ინტერის“ ნავთობმაგნატი პრეზიდენტი მასიმო მორატი მაისის მიწურულიდან ცდილობდა — ალან შირერისთვის მსოფლიოს უძვირფასესი ფეხბურთელის სახელის ამრთმევმა რონალდომ „ინტერის“ შემადგენლობაში ითამაშა. მართალია, ამხანაგურ მატჩში, მაგრამ მორატიმ მაინც აისრულა საწადელი და 20 წლის ბრაზილიელ ჭაბუკს თავისი კლუბის ლურ-შავ ზოლებიანი მაისური მოარგო.

რონალდო მილანში ჩასვლისთანავე იტალიური ფეხბურთის გაღმერთებას მოჰყვა. „ინტერი“ ხომ სულ ცაში აიყვანა და აცხადებდა, ყველა თამაშში თავს დავდებო. რონალდოს იქნებ მართლაც შეესრულებინა სიტყვა, მაგრამ „ინტერის“ ახლად დანიშნულმა მწვრთნელმა ჯიჯი სიმონიმ პირველსავე მატჩში „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ მას ამის შანსი მოუსპო — ბრაზილიელი 18 წუთში შეცვალა. ამ დროისთვის კი ანგარიში 1:0 იყო ინგლისელთა სასარგებლოდ — სტუმრები პოლ სქოულზის გადაცემით ნიკი ბათმა დააწინაურა. პირველი ნახევარი მანჩესტერელებმა შესანიშნავად ჩაატარეს და ერთი-ორჯერ ზუსტად რომ ეთამაშათ, შესაძლოა იქვე გადაეწყვიტათ მატჩის ბედი. სიმონი ჯერ კიდევ ეძებს ოპტიმალურ შემადგენლობას და უამრავი ფეხბურთელი შეცვალა. მხოლოდ ერთმა პალიუკამ ითამაშა 90 წუთი. მეორე ნახევარში სახიფათო მომენტებს გუნდები მონაცვლეობით ქმნიდნენ. მეორე გოლიც ინგლისელებმა, კერძოდ კი გარი ნევილმა გაიტანა, მაგრამ საკუთარ კარში. მას არ მოეწონა „ინტერის“ ფრანგი ლეგიონერის ბენუა კუეს დარტყმული და მიმართულება შეუცვალა. 82-ე წუთზე „სან სიროზე“ შეკრებილი 50 ათასი ტიფოზი ნვანკვო კანუს შეეგება — ნიგერიელის გამოჩენას თითქმის ერთი წელი ელოდნენ მილანელები. საბოლოოდ 1:1 დამთავრდა, მაგრამ რატომღაც პენალტები დაინიშნა, აქ კი უფრო ზუსტნი მილანელები აღმოჩნდნენ — მათ ოთხ შეგდებულ პენალტს მანჩესტერელებმა მხოლოდ შერინგემის ზუსტად დარტყმულით უპასუხეს.

ცხადია, ასეთი გუნდების შეხვედრა, მით უმეტეს ამდენი მოვლენით დახუნძლული, პრესკონფერენციის გარეშე არ ჩაივლიდა. „ვიცი, რასაც ელიან ჩემგან გულშემატკივრები. აქ „ინტერის“ დასახმარებლად ჩამოვედი. მინდა უამრავი თასი და ტიტული მოვაგებინო გუნდს. ჩემი ცხოვრება ცვლილებებითაა სავსე, „ბარსელონადან“ „ინტერში“ გადასვლა კი ჯერჯერობით კარიერის უდიდესი მოვლენაა. თუ ყველაფერი კარგად აეწყო, რისი იმედიც მაქვს, აქ ძალიან დიდხანს დავრჩები. ბრწყინვალე გუნდია, ქვეყანაზე და ქალაქზე რომ აღარაფერი ვთქვა. ასე რომ, თამაშისთვის შესანიშნავი პირობები მაქვს. ვეცდები, გოლებით გაგახაროთ“ — განაცხადა რონალდომ, რომლის მე-18 წუთზე შეცვლით ჯიჯი სიმონიმ მისი ციდან დედამიწაზე დაბრუნება განიზრახა: „შესანიშნავი ფეხბურთელია, ძალზედ ნიჭიერი, მაგრამ ბეჯითი უფრო ბევრს მიაღწევს, ვიდრე უქნარა ნიჭიერი. ამით იმის თქმა მსურს, რომ რონალდოს სრულყოფამდე ბევრი უკლია, ჩვენ კი ყველანაირად ვეცდებით მის კიდევ უფრო გაძლიერებას ხელი შევუწყოთ“. ჟურნალისტებთან ფერგიუსონმაც ისაუბრა და განაცხადა, პრემიერლიგა კარს მოგვადგა, გუნდის თამაში კი არ მაკმაყოფილებსო.

შოტლანდიელი მწვრთნელისგან განსხვავებით, მასიმო მორატი „ინტერის“ თამაშით კმაყოფილი იყო, რონალდოთი კი არა. „მართალია მან აქ პირველად ითამაშა, მაგრამ მაინც არ მოველოდით მის ასეთ სუსტ თამაშს. გაწბილებული ვარ. ვიცი, იგი შიშის ზარს სცემს მცველებს, მაგრამ ასეთ ფორმაში მყოფი იტალიაში ვერას გახდება. იმედს ვიტოვებ, სექტემბრამდე ჩვეულ ფორმაში ჩადგება. რონალდოსგან განსხვავებით, კანუმ ძლიერ გამახარა. არ მეგონა, ეგ ბიჭი კიდევ თუ შეძლებდა თამაშს. გულის ოპერაცია ხუმრობა ხომ არაა. ღრმად მწამს, თავდაუზოგავი ვარჯიშის შედეგად ბრწყინვალე ფორვარდი დადგება, თუმცა არც ახლაა ურიგო“.

ბოლოს ჩვენიც ვთქვათ — „ინტერში“ რონალდოს მომავალს ერთი, და თანაც ამხანაგური თამაშით, ვერ განჭვრეტ.

**ლაშა გოდუაძე**



„ინტერის“ მწვრთნელი ჯიჯი სიმონი ეს წუთია გაეცნო ბრაზილიელს

## ფეხბურთის რუკასთან



**შოტლანდიურმა** „სელტიკმა“ ინგლისის თასის მფლობელ „ჩელსიდან“ მცველ კრეიგ ბარლის გადაბირების შემდეგ განაგრძო ფეხბურთელების შეძენა და აგერ, შვედეთის ნაკრების ფორვარდი ჰენრიკ ლარსენიც შეიძინა. ევრო 92-ის ბომბარდირის „ფეიენოორდიდან“ გადაყვანა სქოთებს ზუსტად მილიონი დოლარი დაუჯდათ.

**ინგლისური თასების ფინალებში ძლეულმა „მიდლსბრომ“ თავად გადაიფიქრა „ბარსელონას“ ყოფილი კაპიტნის ხოსე მარი ბაკეროს გადაბირება. ინგლისელთა მწვრთნელმა ბობი რობსონმა განაცხადა, ივლისის დასაწყისში ბაკეროს ხელსაყრელი კონტრაქტი შევთავაზეთ, მაგრამ პასუხი დროზე არ გვაცნობა, ჩვენ კი ხვეწნას არავის დავუწყებთო.**

**იტალიაში** მორიგი ჩემპიონატის დაწყებამდე გუნდები ამხანაგურ მატჩებს ატარებენ. გუშინწინ „იუვენტუსმა“ პროვინციული „ვალ დ აოსტა“ გაანადგურა 6:1. ორ-ორი გოლი გაიტანეს ზიდანმა და დელ პიერომ. უფრო დიდი ანგარიშით იმარჯვა „ფიორენტინამ“ — ამან 11:0 მოუგო „ამიატას“. ბატისტუტამ ორი ბურთი შეაგდო.

**ესპანეთის თასის მფლობელ „ბარსელონას“ პრეზიდენტად ხუთი წლის ვადით კვლავ აირჩიეს ხოსე ლუის ნუნიესი. არჩევნებზე მან ხმათა 76 პროცენტი მიიღო და 19-წლიანი პრეზიდენტობა კვლავ გაიხანგრძლივა. მის მეტოქეს ანგელ ფერნანდესს ხმათა მხოლოდ 16 პროცენტი ერგო. არჩევნებში „ბარსელონას“ 92 ათასი წევრიდან მხოლოდ მესამედი მონაწილეობდა.**

**ისლანდიის** დედაქალაქ რეიკიავიკში მასპინძლებმა ფარერის კუნძულების ნაკრებს უმასპინძლეს და გამარჯვებას მხოლოდ ტრიგვიგ გუდმუნდსონის 50-ე წუთზე შეგდებული გოლის წყალობით მიაღწიეს.

**ბულგარელი იორდან ლეჩკოვი ამ დღეებში სტამბოლში იმყოფებოდა და „ბეშიქთაშში“ შესაძლო ტრანსფერს არკვევდა. ლეჩკოვს, რომელიც „მარსელმა“ ტრანსფერზე დააყენა, თურქეთში დარჩენაზე „ბეშიქთაშის“ უელსელი მწვრთნელი ჯონ ტოშაკი უნდა გასაუბრებოდა.**

**ფრანგულმა** „ბორდომ“ გასულ უქმეებზე ორი მოთამაშე შეიძინა. ერთია ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრი სილვიან ვილტორი, რომელსაც შარშან „დეპორტივოში“ არ გაუმართლა, მეორე კი — ყველასათვის ცნობილი კიკი მუსამპა, რომელმაც ამსტერდამის „აიაქსში“ თამაშით გაითქვა სახელი. თმებგაწეწილმა კიკიმ „ბორდოსთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**არგენტინაში კვლავ გრძელდება ფეხბურთელთა გაფიცვა. საქმეს, ვერც მაღალჩინოსანთა ჩარევამ უშველა და დაძაბულობის განსამუხტად გაფიცულებს თავად პრეზიდენტმა კარლოს მენემმა მიმართა. მას არც მარადონა ჩამორჩა და კოლეგებს მოუწოდა, ჩვენ ვითამაშოთ, პირობას გაძლევთ, სიმართლე არ დაიკარგებაო. „გაფიცვა სისულელეა. ამით უდანაშაულო გულშემატკივრები ზარალდებიან, ეს კი არ შეიძლება“ — განაცხადა დიეგომ.**

**ბრაზილიის** ჩემპიონატის მორიგ ტურში ბებეტომ „ბაიას“ ორი გოლი გაუტანა და ბომბარდირთა დავაში „სან-პაულუს“ ფორვარდ დოდოს წამოეწია. ახლა ორივეს ხუთ მატჩში რვა-რვა გოლი აქვს გატანილი. ბებეტომ შეხვედრის შემდეგ თქვა, მინდა გაისად მსოფლიოს ჩემპიონატზე ვითამაშო, ძალებს არ დავიშურებ და, იმედია, ზაგალო კეთილი თვალით შემხედავსო. იმავე ტურში ურომარიოდ დარჩენილმა „ფლამენგომ“ „ვასკუ და გამასთან“ 0:1 წააგო. „ვასკუ და გამას“ პრეზიდენტმა ენრიკო მირანდამ გუშინ საჯაროდ განაცხადა, „ფლამენგოს“ მატჩის მერე შებინდებისას შინ რომ ვბრუნდებოდი, სახლთან ორი ნილაბაფარებული ბოროტმოქმედი დამხვდა და 65 ათასი დოლარი წამგლიჯაო. მირანდას ვარაუდით, თავდასხმა წინასწარ იყო დაგეგმილი, რადგან ფული შინ იშვიათად მიაქვს და ამის შესახებ მხოლოდ რამდენიმე პირმა იცოდა.

**ევროპაში მიმდინარე ოთხთა ტურნირების გარდა გუნდები ამხანაგურ მატჩებსაც მართავენ. ლონდონის „არსენალი“ სტრასბურს ესტუმრა და მასპინძლები გარდესა და რაიტის გოლების წყალობით 2:1 დაამარცხა. ფრანგთა ერთადერთი გოლი ზიტელიმ გაიტანა. გერმანიაში მყოფი „საუთჰემპტონი“ 2:4 დამარცხდა „კაიზერსლაუტერთან“. ფრანგულმა „მეცმა“ შინ 2:1 მოუგო „ანდერლეხტს“, შოტლანდიურ დერბიში „ჰართსა“ და „რეინჯერსს“ შორის კი მასპინძლებმა იმარჯვეს 3:2. „ლივერპულმა“ ორივე ამხანაგური სტუმრად ჩაატარა: პირველი „ბრისტოლ სიტისთან“ (1:1), ხოლო შემდეგ „უინძორ პარკზე“ „ლინფილდი“ სძლია 2:1. კიდევ ერთ შეხვედრაში „ბრედფორდმა“ 5:4 დაამარცხა „მიდლსბრო“.**

**ინგლისის** პირველი დივიზიონის „მანჩესტერ სიტის“ ერთ-ერთმა ექიმმა პიტერ ედვარდსმა გუნდის თავკაც ფრენკ კლარკს აცნობა, ბიჭები მატჩების მერე ლუდს და სხვა ალკოჰოლურ სასმელებს რომ ეტანებიან, ეს მათზე უარყოფითად მოქმედებსო. კლარკმა ექიმის რჩევა გაითვალისწინა და ბრძანა, მატჩების დღეს, თამაშამდე და მას შემდეგ, ალკოჰოლური სასმელის დამლევი სასტიკად დაჯარიმდებაო.

**იაპონიის ჯეი-ლიგის ყველა ვარსკვლავთა მატჩში დასავლეთის ნაკრებმა აღმოსავლეთი სძლია 4:1 „ჰეთ-თრიქის“ წყალობით ჯეი-ლიგის პირველმა კამერუნელმა, „გამბა ოსაკას“ თავდამსხმელმა პატრიკ მბომამ „ყველა ვარსკვლავის“ საუკეთესო მოთამაშის პრიზი და მანქანა „ფორდი“ მიიღო. აღსანიშნავია ისიც, რომ მბომამ პირველი გოლი 25 წამში (!) შეაგდო.**

**გერმანიის** მესამე პრიზიორ დორტმუნდის „ბორუსიის“ აწ უკვე დირექტორის, ოტმარ ჰიცფელდის განცხადებით, კლუბს რიდლეს თაობაზე „ლივერპული“ შეეხმიანა. მან თქვა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში ორი გოლის გამტანი ფორვარდის თაობაზე ინგლისელები პასუხს კვირის ბოლოს მიიღებენ. ამბობდნენ, „ლივერპული“ რიდლეს სამწლიან კონტრაქტს სთავაზობს და ყაბულსაა, ტრანსფერში ორნახევარი მილიონი დოლარი გადაიხადოსო, თუმცა გუშინ „ლივერპულმა“ საერთოდ უარჰყო რიდლეთი დაინტერესება.

**იაპონიის ფეხბურთის მამები შეშფოთებულნი არიან — ჯეი-ლიგის თამაშებს, რაც დრო გადის, სულ უფრო ცოტა მაყურებელი ესწრებაო. ლიგის წარმომადგენელმა ჰიროში კაგაიამამ განაცხადა: 1993 წელს, ჯეი-ლიგის დაარსებისას, იაპონიაში ფეხბურთის ბუმი იყო, მატჩებს უამრავი ხალხი ესწრებოდა. მას შემდეგ კი ინტერესმა იკლო, გულშემატკივრები ტელევიზიითაც კმაყოფილდებიან და სტადიონს სულ უფრო და უფრო შორდებიან.“ კაგაიამას 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დიდი იმედი აქვს, რომელიც სამხრეთ კორეის გარდა იაპონიაშიც უნდა ჩატარდეს. მიუხედავად იაპონიის ფეხბურთის მამების შეშფოთებისა, მაყურებელთა ნაკლებლობა მხოლოდ ჯეი-ლიგის მატჩებზე იგრძნობა, ნაკრების შეხვედრებს კი სტადიონზე საშუალოდ 50 ათასი კაცი ადევნებს თვალს.**

**იტალიელმა** ჯოვანი ტრაპატონიმ, ვინც მიუნხენის „ბაიერნი“ ბუნდესლიგის უპირველესი გუნდი გახადა, უქმეებზე გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მომავალ სეზონში წარმატებას მაშინ მივაღწევთ, თუ შარშანდელისგან განსხვავებით კონფლიქტები ნაკლებად გვექნებაო. მან იმედი გამოთქვა, რომ ფეხბურთელები მიხვდებიან, შეუთანხმებლობას რა დიდი ზიანი მოაქვს გუნდისთვის და სწორ დასკვნას გამოიტანენ.

**აშშ-ში, „რიბოკის“ ოთხთა ტურნირის ნახევარფინალებში მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ მექსიკის „ნეკაქსას“ სძლია 2:1, ბრაზილიური „პალმეირასის“ მატჩი კოლუმბიურ „ატლეტიკო ხუნიორსთან“ კი 2:2 დამთავრდა. ფინალისტის გამოსავლენად პენალტები დაინიშნა, აქ კი კოლუმბიელთა მეკარე ხოსე პასომ ოთხი დარტყმა აიღო. გადამწყვეტ მატჩში კოლუმბიელებმა გერმანელები სძლიეს 2:0, მესამე ადგილი კი „ნეკაქსამ“ მოიპოვა „პალმეირასის“ 4:1 დამარცხების შემდეგ.**

# შოთა და თემური: 32 წუთი პირისპირ

ლივერპულის „ევერტონის“ სტადიონზე, რომელსაც „გუდისონ პარკი“ ჰქვია, უქმეებზე გაიმართა ოთხთა ტურნირი, მასპინძლების, „ჩელსის“, „ნიუკასლისა“ და „აიაქსის“ მონაწილეობით. ჩვენი მზერა „გუდისონ პარკისკენ“ იმიტომ იყო მიპყრობილი, რომ მასში ჩვენი ორი თანამემამულე, ამსტერდამელი შოთა არველაძე და ნიუკასლელი თემურ ქეცბაია მონაწილეობდა. პირველ დღეს თემურის გუნდი „ჩელსის“ შეხვდა, შოთასი კი „ევერტონს“. ერთს რომ მოეგო, მეორე კი დამარცხებულიყო, არველაძისა და ქეცბაიას მხარეების საინტერესო დაპირისპირება არ შედგებოდა, მაგრამ ბედმა ქართული დუელის მოწყობა ინება და პირველ დღეს ორივე დაამარცხა. მეორე დღეს ამსტერდამელიცა და ნიუკასლელიც მწვრთნელებმა შეცვლაზე შეიყვანეს. შოთამ მეორე ტაიმი სრულად ითამაშა, თემური კი საქმეში 58-ე წუთზე ჩაერთო, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ეროვნული გუნდის წევრებმა ერთმანეთის პირისპირ, მოედანზე 32 წუთი დაჰყვეს, თუმცა სანამ ამ შეხვედრაზე ვიტყოდეთ რაიმეს, წინა მატჩები განვიხილოთ.

### ნახევარფინალები

### ჩელსი 1:1 ნიუკასლი

**ჩელსი: დე გუი, პეტრესკუ (უაიზი 65), გრენვილი, სინკლერი, ლებეფი, კლარკი (მაიერსი 30; კლემენტი 47), პოიეტი (ნიკოლსი 82), ჰიუზი, ძოლა, დი მატეო, მორისი**

**ნიუკასლი: გივენი, ლი (ჰამილტონი 76), ბარტონი, უოტსონი, პირსი, ალბერი, ქეცბაია (ასპრილია 76), ბეტი, გილესპი, ტომასონი, შირერი**

კოკისპირული წვიმის მიუხედავად ორი ინგლისური გუნდის მატჩში უფრო მეტი საინტერესო ამბავი მოხდა, ვიდრე მეორე ნახევარფინალში, სადაც „ევერტონი“ ჰოლანდიურ „აიაქსს“ ხვდებოდა. ლონდონელების სული და გული იტალიელი ნახევარმცველი რობერტო დი მატეო გახლდათ, შუბის წვერზე კი ზორბა ურუგვაელი გუსტავო პოიეტი აქტიურობდა. ამ წყვილის რამბა მეთორმეტე წუთზევე გაირკვა, როდესაც პოიეტმა დი მატეოს ჩინებული პასი შორეული ძელის სიახლოვიდან სახიფათო მომენტად აქცია.

ნიუკასლელთა შორის, ინგლისური პრესის ერთობლივი დასკვნით, სწორედ ქართველი ქეცბაია გამოირჩეოდა. მისი ჩქარი თამაში დევიდ ბეტის თავგამოდებასა და მწვავე ორთაბრძოლებს საუცხოოდ შეეხამა. სწორედ თემურმა წამოიწყო ის შეტევა, პირველი ტაიმის ბოლო წუთზე „იუნაიტედის“ გოლით რომ დასრულდა. თავხოტორა ქართველის გარღვევას პასი მოჰყვა, ბურთი გილესპიმ მიიღო და დანიელ იონ ტომასონს გადაუგდო, ტომასონმა კი ყველას აჩვენა, რომ გადამწყვეტ მომენტში მუხლი არ ეკეცება.

შემდეგ ლივერპულში რუხმა, თითქმის ნოემბრის ამინდმა და დი მატეომ მოიკრიბეს ძალა. 64-ე წუთზე, როდესაც „ჩელსიმ“ ანგარიში გაქვითა, მომენტის შემოქმედი რობერტო გახლდათ. მან თანამემამულე ჯანფრანკო ძოლა საუცხოოდ გაიყვანა ხეირიან პოზიციაზე. სარდინიელმა პოიეტს აუწია და მანაც თავურით გოლის გატანა არ დაახანა.

თამაშის დამთავრებამდე 13 წუთით ადრე დი მატეოს ლონდონელთათვის გამარჯვების მოტანაც შეეძლო, მაგრამ არ გამოუვიდა, თუმცა უმთავრესი მომენტი ეს არ გახლდათ. უმთავრესი მერე მოხდა, როდესაც ინგლისის ნაკრების კაპიტანმა, დიდებულმა ფორვარდმა ალან შირერმა საშინლად იტკინა ფეხი.

პენალტებში „ჩელსიმ“ მოიგო — 3:1

### ევერტონი 1:0 აიაქსი

**ევერტონი: საუთჰოლი, ალენი, ფილანი, ბილიჩი, უოტსონი, თომსენი, ოსტერი (სტიუარტი 62), ბარმბი, ფერგიუსონი (ბრენჩი 62), სპიდი, ფერელი (მაკკენი 84)**

**აიაქსი: ვან დერ სარი, მელხოიტი, ბლინდი, ოლისე, ფ. დე ბური, რ. დე ბური (როიტერი 80), რუდი, ვიჩხე (დანი 76), ბაბანგიდა (გორი 69), არველაძე, მუქსტრა**

„ევერტონში“ არაფერი შეცვლილა. გუნდი დაცვაში ძველებურად მჭიდროდ თამაშობდა, რასაც საგანგებო ელფერს „ვესტ ჰემიდან“ გადასული სლავენ ბილიჩი აძლევდა, შეტევაში კი დიდი არაფერი. „აიაქსმა“ ლივერპულელები ისე შეავიწროვა, რომ მეორე ნახევარში მასპინძელთა ქომაგებმა საკუთარ გუნდს სტვენა აუტეხეს.

ამსტერდამელები სასტუმრო ფორმით, სულ შავებში გამოწყობილნი გავიდნენ მოედანზე. ამან „ევერტონის“ დიდი წყრომა გამოიწვია, რადგან მსაჯს პიტერ ჯონსს წითელი მაისური ეცვა და შეშინდნენ, ეგეც მოწინააღმდეგეში არ აგვერიოსო. საბოლოოდ, ათ კაცს ხომ არ გახდიდნენ სამოსს და არბიტრი აიძულეს, თეთრად გამოწყობილიყო.

ვეტერანმა უელსელმა მეკარემ ნევილ საუთჰოლმა თავიდან შეცდომა დაუშვა — ფრენკ დე ბურის კუთხურიდან ბურთი ვერ დაიჭირა და კინაღამ დაისაჯა, მაგრამ შემდეგ თავი ხელში აიყვანა და ერთ ეპიზოდში რუდის შორეული დარტყმა ჩინებულადაც მოიგერია.

„ევერტონის“ ქომაგები სახეიროს არაფერს ელოდნენ, როდესაც სპიდმა ბურთი საჯარიმოში შეაგდო. იქ „აიაქსის“ მეკარემ ნიკი ბარმბისთან, მასთან მისწრებაში გაჯიბრება სცადა, მაგრამ წააგო. ეს შეხვედრის ერთადერთი გოლი გახლდათ.

ამის შემდეგ ჰოლანდიელებმა მასპინძლებს საშინელება მოუწყვეს. მომენტს მომენტი ცვლიდა, დარტყმას — დარტყმა, მაგრამ, როგორც გითხარით, საუთჰოლმაც ივაჟკაცა და იღბალმაც. რაც შეეხება შოთა არველაძეს, ეტყობა იმ დღეს ვარსკვლავები მის სასიკეთო ფაზაში არ იყვნენ შესული.

### მესამე ადგილისთვის

### აიაქსი 3:0 ნიუკასლი

**აიაქსი: გრიმი, ფ. დე ბური, სიერი, ოლისე, რ. დე ბური (რუდი 46), ლაუდრუპი (გორი 46), ვიჩხე (დანი 46), ბაბანგიდა, სიბონი (ზენი 74), მუქსტრა (არველაძე 46)**

**ნიუკასლი: სრნიჩეკი, ბარტონი, ჰიუზი, ჰაუი, ბერესფორდი, გილესპი (ქეცბაია 58), ლი (უოტსონი 58), ბეტი (კროუფორდი 36), ჰამილტონი, ბერდსლი, ასპრილია (ტომასონი 74)**

გინდ კაცი და გინდ გუნდი, რომ დაითარსება, მორჩა. ალან შირერი საოპერაციო მაგიდაზე აღმოჩნდა, მისმა თანაგუნდელებმა კი ამსტერდამელებთან 0:3 წააგეს. „აიაქსის“ სისწრაფე და სივრცის გამოყენების უნარი კენი დალგლიშის გუნდისთვის მეტისმეტი აღმოჩნდა. „ნიუკასლის“ გოლკიპერი პაველ სრნიჩეკი იმტაზე რომ არ ყოფილიყო, ანგარიში უარესიც იქნებოდა. ინგლისელთა მიერ შექმნილი მომენტები იშვიათი და ცოტა გახლდათ. პიტერ ბერდსლიმ, რომელიც „ბოლტონში“ გადადის და „ნიუკასლში“ ეტყობა ბოლოჯერ ითამაშა, ასპრილიას მიერ შექმნილი უეჭველი მომენტი გაუშვა ხელიდან. აღსანიშნავია, რომ ვეტერანი ტომასონის ფუნქციას ანუ თავდამსხმელობას სწევდა. თავად ასპრილიასაც შეეძლო გატანა: შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე მან კინაღამ შეაგდო, მაგრამ მცველებმა ბოლოწამს ბურთს გზა გადაუღობეს. შემდეგ სრნიჩეკმა დანის დიდებულად აული, მაგრამ მჯობმა ნელ-ნელა იმძლავრა.

77-ე წუთზე შოთამ გაიბრწყინა. მან სტივ უოტსონი და არონ ჰიუზი მოატყუა და ბენი მაკკარტის გადააწოდა. სამხრეთაფრიკელმა ქართველს მხარი აუბა და საუცხოოდ გახსნა ანგარიში. რაც დრო გადიოდა, ინგლისური გუნდი მით უფრო საპყრდებოდა, ნიგერიელმა სანდი ოლისემ კი 35 მეტრიდან თვალსასეირო გოლი შეაგდო. ბოლო ისევ მაკკარტიმ გაიტანა.

### ფინალი

### ევერტონი 1:3 ჩელსი

**ევერტონი: გერარდი, ოკონორი, შორტი, ანსუორსი, ჰინჩკლიფი (ბილიჩი 24), ოსტერი, მაკკენი (თომსენი 77), გრანტი (სპიდი 46), ფერელი (ბარმბი 77), სტიუარტი, ბრენჩი (ფერგიუსონი 46)**

**ჩელსი: დე გუი, სინკლერი, ლებეფი, კლარკი, გრენვილი, პეტრესკუ (ჰიუზი 64), დი მატეო, მორისი, ნიკოლსი (უაიზი 46), ძოლა, ვიალი**

ინგლისის ნაკრების მცველი ენდი ჰინჩკლიფი ტრავმის გამო მოედანზე ცხრა თვე არ გამოჩენილა. აი, როგორც იქნა გამოჩნდა და ბარძაყის კუნთი დაიჭიმა. იგი 24-ე წუთზევე შესაცვლელი შეიქნა. პირველ ნახევარში სხვა ისეთი არაფერი ყოფილა.

კართა შეცვლის შემდეგ ჯანლუკა ვიალიმ ჯერ კარგი მომენტი გააცუდა, შემდეგ კი მეტოქის მეკარე მოატყუა და გოლი გაიტანა. „ევერტონმა“ დანკან ფერგიუსონის თავურით გაქვითა. მერე ლონდონელი ძოლა გააქტიურდა. „ჩელსი“ მანვე დააწინაურა და მესამე გოლის ავტორობაც ითავა. ამრიგად „ამბროს“ მიერ მოწყობილი ოთხთა ტურნირი ინგლისის დედაქალაქის ყველაზე პრესტიჟული უბნის გუნდის გამარჯვებით დასრულდა.

**პაპუნა ძიძია**

---

ლივერპულში, ოთხთა ტურნირის პირველსავე შეხვედრაში, მძიმედ დაშავდა ინგლისის ნაკრების კაპიტანი, „ნიუკასლ იუნაიტედის“ ვარსკვლავი ალან შირერი. მის უბედობაში „ჩელსის“ ფეხბურთელებს ბრალი არ მიუძღვით: წვიმაში, ბურთის მისაწვდენად გასრიალებულმა ფორვარდმა კოჭთან მყესები დაიწყვიტა. საკაცეზე მოთავსებული, „გუდისონ პარკიდან“ პირდაპირ ფეზეკერლის ჰოსპიტალში მიიყვანეს, საიდანაც ნიუკასლს გადააფრინეს და იქაურ საავადმყოფოში გაუკეთეს ოპერაცია.

„ნიუკასლის“ მწვრთნელი კენი დალგლიში: „ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ შირერი სარბიელს კარგა ხნით ჩამოშორდება. იგი ალბათ კვირებს კი არა, თვეებს გააცდენს.“

ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისელ ბომბარდირთა ბომბარდირი ვერ ითამაშებს ჩემპიონთა თასზე, ზაგრების „კროაციასა“ და ბელგრადის „პარტიზანს“ შორის გამარჯვებულთან. იგი ინგლისის ნაკრებსაც ვერ დაეხმარება მოლდოვასთან და რაც უფრო მთავარია, შეიძლება ოქტომბერში რომში, იტალიელებთანაც კი ვერ ითამაშოს.

თავის მხრივ დალგლიშსაც აერია გეგმები. მწვრთნელი ნაუკასლელთა თავდასხმას შირერ-ტომასონის დუეტზე უპირებდა დაფუძნებას, მაგრამ...

რა დროს გაჰყიდეს ლეს ფერდინანდი? ამბობენ, „ნიუკასლი“ ახლა ფერდინანდის შენარჩუნებას შეეცდებაო, მაგრამ როგორც თავად დალგლიშმა თქვა,

## რა შეღბლოა მს შირერი

„ტოტენჰემმა“ და ლესმა უკვე ყველაფერი მოაგვარეს, ხელი ხელს დაჰკრეს და ამიტომ, ფერდინანდის ნიუკასლში მიმბრუნებელი აღარავინაა. დალგლიშის გუნდს 6 მილიონი გირვანქა შერჩა. სხვათა შორის, მწვრთნელმა ისიც თქვა, „ნიუკასლ იუნაიტედი“ სააქციო საზოგადოება გახდა, რამაც ჩემს ხმას ძალა წაართვა, აწი კლუბში ყველაფერს აქციონერები წყვეტენო.

დალგლიში: „ჩვენს გუნდში თავდამსხმელთა კრიზისი მაინც არ შეიქმნება. კრიზისი არასწორი სიტყვაა. ჩვენ გვყავს ასპრილია და ტომასონი.“

და მაინც, ვინც შირერს იცნობს, არ სჯერა, რომ ის ავადმყოფობას დანებდება. 96-ის აპრილში თიაქრის ოპერაცია გაიკეთა და ივნისში ევროპის ჩემპიონატზე ბრწყინავდა; იმავე ოქტომბერში მეორე ოპერაციაც გადაიტანა, მაგრამ ერთ თვეში მოედანზე იყო; მესამე ოპერაციამ თებერვალში ჩაიარა, მართლაც რომ ჩაიარა. ახლა?

ამბობენ, „ნიუკასლი“ „საუთჰემპტონს“ ეგილ ოსტენსტადში სასწრაფოდ 7,5 მილიონს სთავაზობსო.

REUTERS



უიღბლო შირა „გუდისონ პარკს“ საკაცით ტოვებს

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ჩემპიონთა თასი

30 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მარიბორი (სლოვენია) — დერი სიტი (ირლანდია) | (1,01 - 15,0) | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| აკრანესი (ისლანდია) — კოშიცე (სლოვაკეთი) | (15,0 - 1,01) | 2,0 | 2,9 | 2,8 |
| კროაცია (ხორვატია) — პარტიზანი (იუგოსლავია) | (1,8 - 1,6) | 1,6 | 2,9 | 4,4 |
| სკონტო (ლატვია) — ვალეტა (მალტა) | (1,25 - 3,1) | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| მტკ (უნგრეთი) — პიუნიკი (სომხეთი) | (— - 30,0) | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| დინამო (საქართველო) — კრუზეიდერსი (ჩრდ. ირლ.) | | ანგარიში - 4,5 | | |
| ბეითარი (ისრაელი) — სილეკსი (მაკედონია) | (1,5 - 2,0) | 1,4 | 3,1 | 5,6 |
| ცსკა (ბულგარეთი) — სტიაუა (რუმინეთი) | (1,25 - 3,1) | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| მპკც (ბელარუსი) — კონსტრუქტორული (მოლდოვა) | (1,15 - 4,0) | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ჯაზი (ფინეთი) — ლანტანა (ესტონეთი) | (1,01 - 15,0) | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| რეინჯერსი (შოტლანდია) — გოტუ (ფარერები) | (— - 30,0) | 1,01 | 7,0 | 16,0 |
| ვიძევი (პოლონეთი) — ნეფთჩი (აზერბაიჯანი) | (— - 30,0) | 1,01 | 7,0 | 16,0 |
| ბერი თაუნი (უელსი) — დინამო (უკრაინა) | (15,0 - 1,01) | 6,5 | 3,4 | 1,3 |
| ჟენესი (ლუქსემბურგი) — სიონი (შვეიცარია) | (30,0 - —) | 5,0 | 3,3 | 1,4 |
| კარედა (ლიტვა) — ანორთოსისი (კვიპროსი) | (7,5 - 1,05) | 1,7 | 3,0 | 3,6 |

### უეფას თასი

29 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სელტიკი (შოტლანდია) — ინტერი (უელსი) | (— - 30,0) | 1,01 | 7,0 | 16,0 |
| ჰაიდუკი (ხორვატია) — გრევენმახერი (ლუქსემბურგი) | (— - 30,0) | 1,01 | 6,0 | 17,0 |
| ფერენცვაროში (უნგრეთი) — ჰოჰემიანსი (ირლანდია) | (1,01 - 15,0) | 1,1 | 5,0 | 10,0 |

30 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კოლხეთი (საქართველო) — დინამო (ბელარუსი) | | ანგარიში — 4,5 | | |
| ფლორა (ესტონეთი) — ჰაპოელი (ისრაელი) | (2,8 - 1,3) | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| ერევანი (სომხეთი) — დნეპრი (უკრაინა) | (30,0 - —) | 3,2 | 3,0 | 1,8 |
| ბობი (ჩეხეთი) — ინკარასი (ლიტვა) | (1,7 - 1,7) | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| აპოლონი (კვიპროსი) — მიუპა (ფინეთი) | (1,4 - 2,3) | 2,0 | 2,8 | 2,9 |
| ტილიგული (მოლდოვა) — ქსამაქსი (შვეიცარია) | (30,0 - —) | 2,7 | 3,0 | 2,0 |
| კოლრეინი (ჩრდ. ირლ.) — გრასჰოპერი (შვეიცარია) | (30,0 - —) | 4,2 | 3,0 | 1,6 |
| ვიკინგი (ნორვეგია) — ვოივოდინა (იუგოსლავია) | (1,05 - 7,5) | 1,8 | 2,9 | 3,3 |
| დინამო (რუმინეთი) — რეიკიავიკი (ისლანდია) | (1,7 - 1,7) | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| სპარტაკი (სლოვაკეთი) — ბირკირკარა (მალტა) | (— - 30,0) | 1,01 | 7,0 | 16,0 |
| ყარაბაღი (აზერბაიჯანი) — იაბლონეცი (ჩეხეთი) | (30,0 - —) | 5,0 | 3,3 | 1,4 |
| პობედა (მაკედონია) — ოდრა (პოლონეთი) | (7,5 - 1,05) | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| ვორსკლა (უკრაინა) — დაუგავა (ლატვია) | (— - 30,0) | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| ნეფტოხიმიკი (ბულგარეთი) — ბრანი (ნორვეგია) | (1,8 - 1,6) | 1,7 | 3,0 | 3,6 |
| დანდი იუნ. (შოტლანდია) — პრინჩიპატი (ანდორა) | (— - 30,0) | 1,01 | 7,0 | 16,0 |
| ოცელული (რუმინეთი) — გორიცა (სლოვენია) | (2,0 - 1,5) | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| კლაკსვიკარი (ფარერები) — უიპეშტ დოჟა (უნგრეთი) | (30,0 - —) | 8,0 | 4,0 | 1,2 |

### ინტერტოტო

30 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ჰალმშტადი — ნოვგოროდი | | ანგარიში - 5,0 | | |
| ბასტია — ჰამბურგი | (1,05 - 7,5) | 1,5 | 3,1 | 4,7 |
| მონპელიე — კიოლნი | (2,3 - 1,4) | 1,9 | 2,9 | 3,0 |
| ლიონი — ისთანბულსფორი | (1,2 - 3,5) | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| დუისბურგი — დინამო (რუსეთი) | (1,1 - 5,0) | 1,4 | 3,3 | 5,0 |
| ტორპედო — ოსერი | (15,0 - 1,01) | 1,8 | 3,0 | 3,2 |

### რუსეთის ჩემპიონატი. მე-20 ტური

30 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ცსკა — როტორი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ბალტიკა — ფაკელი | 1,25 | 3,8 | 7,0 |
| ზენიტი — ალანია | 2,9 | 2,8 | 2,0 |
| ჩერნომორეცი — შინიკი | 1,6 | 2,9 | 4,4 |
| კამაზი — ჟემჩუჟინა | 1,7 | 2,8 | 4,0 |
| ტიუმენი — ლოკომოტივი | 2,9 | 2,8 | 2,0 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. მე-5 ტური

30 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ადმირა — ზალცბურგი | 2,3 | 2,9 | 2,3 |
| ტიროლი — ლინცერი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| რაპიდი — გრაცერი | 1,4 | 3,2 | 5,3 |
| რიდი — ლუშტენაუ | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| შტურმი — აუსტრია | 1,5 | 3,0 | 5,0 |

## CROCO-2

### ტირაჟი №49

1. აკრანესი — კოშიცე
2. კროაცია — პარტიზანი
3. ცსკა — სტიაუა
4. კარედა — ანორთოსისი
5. კოლხეთი — დინამო მინსკი
6. ფლორა — ჰაპოელი
7. აპოლონი — მიუპა
8. ნეფტოხიმიკი — ბრანი

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი. 7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება **JACK POT**

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.



FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

**ფორმულა 1**
**X ეტაპი**
**გერმანიის დიდი პრიზი**

## ბერგერის დაბრუნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეზონისწინა ტესტების შემდეგ „ბენეტონის" გუნდი ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი იყო. ბერგერი იმასაც აცხადებდა, ჩემპიონის ტიტულს ან მე, ანაც ალეზი მოვიპოვებთო. პირველი სამი ეტაპის შემდეგ გერჰარდი მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩებოდა ლიდერებს, მაგრამ შემდეგ სხვაობა თანდათან გაიზარდა, ეტაპი ეტაპს მისდევდა და წარმატებები არ ჩანდა.

შემდეგ ფორმულა 1-ის 37 წლის ვეტერანს ოპერაციის გაკეთება მოუხდა. ავადმყოფობაში მამაც დაელუპა და თითქმის ორი თვე არ გაჰკარებია საჭეს. „ჰოკენჰაიმზე" რბოლას მონატრებული ავსტრიელი ჩემპიონატს დაუბრუნდა: თაყვანისმცემელთა გასახარად, პოულიც მოიპოვა, წრის რეკორდიც დაამყარა და გამარჯვა, თანაც ისე რომ მთელი რბოლის განმავლობაში თავისი წარმატება საეჭვო არ გაუხდია. რბოლის შემდეგ ავსტრიელი სიხარულს ვერ მალავდა: „თავს შესანიშნავად ვგრძნობ: პოული, სწრაფი წრე, ჩინებული სტარტი და სწორი სტრატეგია — მშვენიერია. ახლა მშვიდად შემიძლია რამდენიმე დღე დავისვენო, სამიოდე რბოლა გამოვტოვო და კვლავ დავბრუნდე მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ გავიმარჯვო".



AP ჰოკენჰაიმიდან

გამარჯვებულთა ჩვეული ანცობა: ჰაკინენი, ბერგერი და მიხაელ შუმახერი შამპანურით წუწაობენ

პარასკევის ვარჯიშზე ძმებმა შუმახერებმა იმარჯვეს — რალფმა საუკეთესო დრო 1.46.196 წმ აჩვენა, მიხაელი კი 0,126-ით ჩამორჩა მას. „უილიამსის" პილოტები ჩამორჩენილთა შორის აღმოჩნდნენ: ვილნევი მე-16 იყო, ფრენცენი — მე-18, ბერგერის შედეგი კი მე-14 იყო. მე-3-მე-4 პოზიციებზე ჰერბერტი და ბარიჩელო აღმოჩნდნენ.

შაბათის კვალიფიკაციაზე თავიდანვე ბერგერი დაწინაურდა — 1.42,086. ვილნევმა თავის პირველ ცდაზე 1.42,947 აჩვენა და კარგა ხნით გაჩინარდა ბოქსებში. ავსტრიელის ნაჩვენებ დროს ყველაზე მეტად შუმი მიუახლოვდა — სხვაობა 0,095 წამი იყო. გერმანელი პილოტი მეორე ცდაზე სწორედ იმ დროს გამოვიდა, როდესაც კულჰარდი სწრაფ წრეს იწყებდა და შეაყოვნა კიდეც. შოტლანდიელმა ვერ შეძლო დროის გაუმჯობესება, შუმისაც ცდა გაუცუდდა, მე-2 ადგილზე კი ფიზიკელამ გადაინაცვლა. ბერგერი მესამედაც გამოვიდა ტრასაზე და საკვალიფიკაციო დრო კიდევ უფრო გააუმჯობესა, ვილნევი კი ვერაფრით ახერხებდა ბოლიდის ზუსტად დარეგულირებას და მე-9 ადგილს ვერაფრით ასცდა. კვალიფიკაციის მიწურულს ვილნევმა ერთიც გაიბრძოლა, მაგრამ ამაოდ. ბერგერმა თავის კარიერაში მე-12 პოული მოიპოვა, ფიზიკელამ კი თავისი ახალი მეპატრონეები დაარწმუნა, რომ მასზე ტყუილად არ შეუჩერებიათ არჩევანი.

სასტარტო განლაგება:

**ბერგერი 1.41,873 (241,111 კმ-სთ); ფიზიკელა 1.41,896; ჰაკინენი 1.42,034; მ. შუმახერი 1.42,181; ფრენცენი 1.42,421; ალეზი 1.42,493; რ. შუმახერი 1.42.498; კულჰარდი 1;42,687; ვილნევი 1;42,967; ირვინი 1.43,209; ტრული 1.43,226; ბარიჩელო 1.43,272; ჰილი 1.43,361; ჰერბერტი 1.43,660; მაგნუსენი 1.43,927;დინიცი 1.44,069; ნაკანო 1.44,112; ფონტანა 1.44,552; სალო 1.45,372; ვერსტაპენი 1.45,811; მარკეში 1.45,942; კატაიამა 1.46,499.**

სტარტიდან პირველი ბერგერი დაიძრა, მას ფიზიკელა მიჰყვა. მ. შუმახერმა ჰაკინენს გაასწრო და მე-3-ზე გადაინაცვლა. შესანიშნავად დაიწყეს რბოლა ვილნევმა და ბარიჩელომ, რომლებმაც მე-6-მე-7 პოზიციებზე გადაინაცვლეს, თუმცა, ბრაზილიელს მალე ტრულიმ გაასწრო. სასტარტო აურზაურში მარკეში დაზარალდა და რბოლას გამოეთიშა. ირვინსა და ფრენცენს კი საბურავები დაუზიანდათ და ძლივს მიაღწიეს ბოქსებამდე. იქ ირვინის „ფერარის" ხარძარიც გაუჩნდა, რომელიც მალევე ჩააქრეს, ხოლო „უილიამსის" დათვალიერების შემდეგ ეს ბოლიდიც რბოლის მიღმა აღმოჩნდა. პირველი წრის შემდეგ კულჰარდიც ეწვია ბოქსებს და ტრასას 14 წამში დაუბრუნდა, მაგრამ მალევე შეჩერდა ტრასის პირას და მაყურებლებში გადაინაცვლა.

ამასობაში ბერგერი ნელ-ნელა აღწევდა თავს მდევარს. პირველი წრის შემდეგ 1,869 წამს იგებდა, მალე კი 3 წამითაც დაწინაურდა; სულ უფრო და უფრო სწრაფად მრბოლი ავსტრიელი ზედიზედ აუმჯობესებდა წრის გავლის დროს. თანდათან გამოიკვეთა გუნდების ტაქტიკაც: „ბენეტონს" ორი პიტ-სტოპი ჰქონდა დაგეგმილი და ამიტომ მისი ბოლიდებიც უფრო სწრაფად მოძრაობდნენ, მაშინ, როცა სხვები აშკარად „მძიმედ" გამოიყურებოდნენ და ბოქსებში ერთხელ შესვლას გეგმავდნენ.

მე-8 წრეზე დინიცმა და ჰერბერტმა ტრასა ვერ გაინაწილეს და შეჯახების შემდეგ ორივე რბოლას გამოეთიშა. რალფ შუმახერმა ბარიჩელოს გაასწრო და ტრულის შეუტია, მალე კი ეს წყვილი ვილნევს მიუახლოვდა. ლიდერთა სამეული ნელ-ნელა შორდებოდა დანარჩენებს. მე-2-ზე მყოფი ფიზიკელა ბერგერთან მიახლოებას ვერ ახერხებდა, მაგრამ სიტუაციას კარგად აკონტროლებდა და მის უკან მყოფ შუმის სახიფათო დისტანციაზე არ უშვებდა.

რბოლის დასასრულამდე 30 წრე რჩებოდა, „ბენეტონის" მექანიკოსები თავიანთ პილოტთა მოსამსახურებლად რომ მოემზადნენ. საწვავისთვის ბოქსებში პირველმა ალეზიმ შეიარა, ერთი წრის შემდეგ კი — ბერგერმა. ტრასაზე დაბრუნებული ავსტრიელი ჰაკინენის უკან აღმოჩნდა, მაგრამ ბევრი არ უყოყმანია და მალევე ჩამოიტოვა ფინელი. პირველ ადგილზე გასულმა ფიზიკელამ კი ნელ-ნელა გაასწრო შუმის.

შუა რბოლაში „ფერარისა" და „ჯორდანის" პილოტებმაც შეივსეს საწვავი. ფიზიკელა კვლავ მე-2-ზე იყო და ბერგერს უკან მიჰყვებოდა, შუმიმ კი ალეზიც გაატარა და მე-4 პოზიციაზე გამაგრდა.

28-ე წრეზე მაგნუსენის ძრავამ იფეთქა, რამდენიმე წრის შემდეგ კი ბარიჩელოს „სტიუარტმაც" აუშვა ბოლი. „ფორდის" ძრავები არ არის გამძლე და ეს ჩემპიონატის დებიუტანტ „სტიუარტს" ძლიერ უფუჭებს საქმეს.

30-ე წრეზე ალეზი კვლავ ესტუმრა ბოქსებს, მალე მომსახურე პერსონალმა ბერგერიც მიიწვია. გერჰარდი ფიზიკელას უკან კი დაუბრუნდა ტრასას, მაგრამ ცოტა ხანში გაასწრო იტალიელს — ამას საბურავები მთლად ნაფლეთებად ექცა და რის ვაი-ვაგლახით მიაღწია ბოქსებამდე. ტრასაზე მე-6 ადგილზე დაბრუნებული კი ფინიშამდე 5 წრით ადრე გამოეთიშა რბოლას.

ვილნევი სტაბილურად ინარჩუნებდა პოზიციას, მაგრამ ერთ-ერთ მოსახვევში ტრულიმ ოდნავ წაჰკრა გვერდი, მოცურდა და ტრასის მიღმა აღმოჩნდა. ასე დასრულდა ჟაკმა ეს რბოლა უქულოდ.

ფინიშამდე 5 წრით ადრე ბერგერი 28 წამს უგებდა შუმახერს. ავსტრიელმა ოდნავ შეანელა — შარშან ხომ ფინიშამდე 3 წრით ადრე უმტყუნა ძრავამ, მაგრამ მაშინ ჰილი ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა, ახლა კი შეეძლო, ძრავა დაესვენებინა და მანაც მშვიდად, შუმიზე 17 წამით ადრე გადაკვეთა ფინიში.

მე-2 ადგილისთვის მოპოვებული 6 ქულით შუმახერი საერთო ჩათვლაში 10 ქულით დაწინაურდა და ვილნევსა და „უილიამსს" კვლავ საფიქრალი გაუჩინა. მე-3 ადგილი ჰაკინენს ერგო, მას იარნო ტრული მიჰყვა. ბოლო ორი ჩასათვლელი ადგილი კი რალფ შუმახერმა და ალეზიმ გაიყვეს, რომლებიც მომავალ სეზონში, შესაძლოა, ერთ გუნდში ვიხილოთ.

**ალეკო თაბუკიანი**

### რბოლის შედეგები

**ჰოკენჰაიმი. 27 ივლისი**
**რბოლის დისტანცია 45 წრე — 307.022 კმ**

| | | |
|---|---|---|
| 1. ბერგერი (ბენეტონ-რენო) | 1:20,59,046 (227,477 კმ-სთ) | 10 ქულა |
| 2. მ. შუმახერი (ფერარი) | ჩამორჩა 17,527 წმ | 6 |
| 3. ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი) | 24,770 | 4 |
| 4. ტრული (პროსტ-მუგენ-ჰონდა) | 27,165 | 3 |
| 5. რ. შუმახერი (ჯორდან-პეჟო) | 29,995 | 2 |
| 6. ალეზი (ბენეტონ-რენო) | 34,717 | 1 |
| 7. ნაკანო (პროსტ-მუგენ-ჰონდა) | 1.19,722 | |
| 8. ჰილი (ეროუს-იამაჰა) | 1 წრით | |
| 9. ფონტანა (ზაუბერ-ფერარი) | 1 წრით | |
| 10. ვერსტაპენი (ტირელ-ფორდი) | 1 წრით | |
| 11. ფიზიკელა (ჯორდან-პეჟო) | 5 წრით | |

**სწრაფი წრე:**

ბერგერი 1.45,747

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| ვილნევი (უილიამს-რენო) | 33 წრე |
| ბარიჩელო (სტიუარტ-ფორდი) | 33 |
| სალო (ტირელ-ფორდი) | 33 |
| მაგნუსენი (სტიუარტ-ფორდი) | 27 |
| კატაიამა (მინარდი-ჰარტი) | 23 |
| ჰერბერტი (ზაუბერ-ფერარი) | 8 |
| დინიცი (ეროუს-იამაჰა) | 8 |
| კულჰარდი (მაკლარენ-მერსედესი) | 1 |
| ფრენცენი (უილიამს-რენო) | 0 |
| ირვინი (ფერარი) | 0 |
| მარკეში (მინარდი-ჰარტი) | 0 |

**პირადი პირველობა:**

1. მ. შუმახერი 53 ქულა; 2. ვილნევი 43; 3. ალეზი 22; 4. ბერგერი 20; 5. ფრენცენი 19; 6. ირვინი 18; 7. პანი 15; 8-9. ჰაკინენი და კულჰარდი 14-14; 10. რ. შუმახერი 9; 11. ფიზიკელა 8; 12. ჰერბერტი 7; 13. ბარიჩელო 6; 14. ვურცი 4; 15. ტრული 3; 16. სალო 2; 17-19 ლარინი, ნაკანო, ჰილი 1.

**გუნდური პირველობა**

1. ფერარი 71 ქულა; 2. უილიამს-რენო 62; 3. ბენეტონ-რენო 46; 4. მაკლარენ-მერსედესი 28; 5. პროსტ-მუგენ-ჰონდა 19; 6. ჯორდან პეჟო 17; 7. ზაუბერ-ფერარი 8; 8. სტიუარტ-ფორდი 6; 9. ტირელ-ფორდი 2; 10. ეროუს-იამაჰა 1.

# მსტოვრებმა ამბავი წაიღეს
## ნეტავ, როგორი?

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

თბილისს ეწვივნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის 10 ქვეყნის წარმომადგენლები, მათ შორის ძიუდოს ფუძემდებლები — იაპონელები.

ასპარეზობა ორ დღეს მიმდინარეობდა — შაბათსა და კვირას. პირველ დღეს 4 წონით კატეგორიაში პაექრობდნენ ძიუდოისტები — 65, 78, 95 და მძიმე წონაში. ფალავნებმაც ამ თანმიმდევრობით მიაშურეს ტატამს.

65 კილოგრამ წონაში მოასპარეზენი მეტად ლაღად და ლამაზად ჭიდაობდნენ. აქ ერთი უსიამოვნო ამბავიც მოხდა: რუსეთის ნაკრების წევრებმა, ოსმა ცაგარაევმა და ლეკმა ჯაბრაილოვმა ღონითა და ოსტატობით რომ ვერაფერი დააკლეს ერთმანეთს, მუშტი-კრივი გამართეს. მსაჯებმა ისინი მალე დააშოშმინეს და ჩხუბის წამომწყები ჯაბრაილოვი შეჯიბრებიდან მოხსნეს. ამან ცაგარაევს ბრინჯაოს მედლისკენ გაუხსნა გზა.

რაკი გიორგი ვაზაგაშვილი არ მონაწილეობდა, გიორგი რევაზიშვილს ხელფეხი გაეხსნა და ტურნირიც მეტად დამაჯერებლად მოიგო. „ჯლანამ" ჩვეულ ლამაზ სტილში ჩამოიცილა ყველა მეტოქე და ფინალამდე, რომ იტყვიან, ღიღინ-ღიღინით მივიდა, აქ კი თანამემამულე მამუკა კურდღელაშვილს გადაეყარა. მამუკამაც ღირსეული, ლამაზი გამარჯვებებით მიაღწია ფინალს. „ჯლანამ" წუთნახევარში მოამთავრა საქმე — ფეხიდან აიყვანა მეტოქე, დააზრიალა და ფრანგმა მსაჯმაც იპონი უბოძა გიორგის. ძიუდოს არაერთმა სპეციალისტმა, მათ შორის ძიუდოს ევროკავშირის ოფიციალურმა დელეგატმა, პოლონელმა მეჩისლავ ბოლოჟევსკიმ აღნიშნა, რომ ეს ილეთი მაქსიმუმ ვაზარის იმსახურებდა, მაგრამ მსაჯმა სხვაგვარად განსაჯა და გიორგი რევაზიშვილი ტურნირის პირველი გამარჯვებული გახდა.

ახლახან გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე ლევან ციგრიაშვილმა ერთ-ერთი შეხვედრისას კისერი იტკინა. იმ დღესაც კისერშეხვეული ადევნებდა თვალს ასპარეზობას. რომ არა ტრავმა, ლევანი უთუოდ შეიტანა კორექტივებს 78 კილოგრამში მოასპარეზეთა საპრიზო სამეულში. მისმა არყოფნამ სხვებს გაუიოლა თავის გამოჩენის საშუალება. სამწუხაროდ, აქ ოქროს მედალი რუსთა ნაკრების წევრ ჯამალ ჰასანოვს ერგო, რომელმაც ფინალში ჩვენებური გიორგი ჭაბუკაშვილი დაამარცხა იმ დღეს, ალბათ, ყველაზე ლამაზი ილეთით. 78-ში მესამე ადგილზე ბესიკ მუმლაძე გავიდა. ამ უდავოდ ნიჭიერმა ახალგაზრდამ დამამშვიდებელ ორთაბრძოლაში თვით მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს სამბოში და საქართველოს წლევანდელ ჩემპიონს ძიუდოში ჯონდო მუზაშვილს აჯობა — 26 წამში იპონი „გაუხერხა". ბრინჯაოს მედალი კი ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონს ფრანგ კლავიერს გამოგლიჯა ხელიდან.

ტურნირის საზეიმო გახსნისას ერთი ფრანგი ძიუდოისტი მეცნო, მივუახლოვდი და ერიკ ფარუ შემრჩა ხელთ — პარიზის კლუბ „ბულონის" წევრი, რომელმაც ცოტა ხნის წინათ თბილისში, ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე იასპარეზა თბილისის „შევარდენის" წინააღმდეგ. მაშინ ერიკი, ფრანგთაგან ყველაზე გულღია ძიუდოისტი, სიამოვნებით დამთანხმდა ინტერვიუზე, ძველი ნაცნობობის წყალობით, რა თქმა უნდა, არც ამჯერად უთქვამს უარი გასაუბრებაზე.

**— ერიკ, ამჯერად კი თბილისში ნამდვილად არ გელოდით.**

— რატომ?

**— პირველად თბილისში ყოფნისას აკი მითხარით, საფრანგეთის ნაკრების წევრი არა ვარო...**

— თბილისის ტურნირი „ბ" კატეგორიისაა და ნაკრების პირველი ნომრები — ძლიერი ძიუდოისტები თავს არიდებენ ამგვარ შეჯიბრებებს, მათ „ა" კატეგორიის ტურნირები ურჩევნიათ, რადგან სოლიდური საპრიზო ფონდებია. სხვათა უარმა თბილისში ჩამოსვლის შანსი მომცა.

**— ფინალამდე საკმაოდ იოლად მიაღწიეთ, ახლა ჩვენებურ ჯიქურაულს ხვდებით. იცნობთ მეტოქეს?**

— ერთ რამეში დავრწმუნდი: მიუხედავად ძიუდოს უცხოური წარმოშობისა, ქართველებს იგი შესისხლხორცებული აქვთ. ამიტომ, ქართველი ძიუდოისტი, როგორი უჩინო და გამოუცდელიც უნდა იყოს, მაინც ანგარიშგასაწევია. მით უმეტეს, ჯიქურაული, რომელიც ჩემზე ტიტულოვანი და გამოცდილია.

თავისდა სამწუხაროდ, ერიკ ფარუს გუმანმა არ უმტყუნა. 95 კილოგრამიანთა ფინალში მეტად ფრთხილმა ძიუდოისტებმა ქულის ალება ვერ მოუხერხეს ერთმანეთს, თითო შიდოც „დაიმსახურეს", მაგრამ ბოლოს აქტიურობისთვის მსაჯებმა გამარჯვებულად ივერი ჯიქურაული ცნეს. იაპონელ შინიჩირო სოსთან ერთად ბრინჯაოს მედალი ამ წონაში ივანე არაბულმაც მოიპოვა.

ერიკ ფარუს გარდა კიდევ ერთი ნაცნობი ძიუდოისტი დავლანდე და ისიც შევარდნელთა წყალობით. „ბულონის" დამარცხებამდე „შევარდენმა" აკი ხორვატიის „დუბროვაჩკა ბანკას" სძლია, რუსთა ნაკრების წევრი ტამერლან ტმენოვი კი სწორედ ამ კლუბის წევრია. ტმენოვს სწორედ შაბათს შეუსრულდა 20 წელი და საკუთარ თავს საუკეთესო საჩუქარი უძღვნა: იაპონელ კაზუია ტამურას მედგარი ბრძოლა გაუმართა, იაპონელი აქტიურობდა, მაგრამ, ალბათ, ერჩივნა დინჯად და უინიციატივოდ ყოფილიყო — ტმენოვმა ტამურა საკუთარ ილეთზე დაიჭირა და ლამაზი იპონით დაამარცხა ძლიერი მეტოქე. ბრინჯაოს მედლები მძიმე წონაში ჩვენებურებს ერგოთ — თუ ზაზა დაბრუნდაშვილმა ბრძოლით მოიპოვა იგი, ალექსი დავითაშვილს, რომელმაც ლამაზი ჭიდაობით მოაღწია აქამდე და ყველა ბრძოლა იპონით მოიგო, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში რამაზ ჩოჩიშვილი არ გამოცხადდა — რამაზი მეტად დაღლილი იყო და უთანასწორო ბრძოლას თავი აარიდა.

ტურნირს მეორე დღესაც ჰყავდა იუბილარი — კვირას ნესტორ ხერგიანი გახდა 22 წლისა. ნესტორმა 60 კილოგრამიან ძიუდოისტთაგან ყველაზე ლამაზი და რისკიანი ჭიდაობა უჩვენა გულშემატკივრებს, ლამის ყველა შეხვედრა მოიგო და საჩუქრად ოქროს მედალი შეუმზადა თავს, მაგრამ იგი აზერბაიჯანელ ულდუზ სულთანოვისთვის უნდა დაეთმობინებინა. მეტად გამოცდილი სულთანოვი თავიდანვე დაწინაურდა, ხერგიანმა მხოლოდ ბოლო წუთზე გაათანაბრა ანგარიში, მერე იუკოთიც დაწინაურდა, მაგრამ ბოლო 20 წამი ვეღარ შეინახა თავი. მან კვლავ ახალი ილეთი წამოიწყო, მაგრამ სულთანოვმა ჰაერშივე იგდო ხელთ მეტოქის კისერი და როცა ორივე ტატამზე დაეშვა, ხერგიანი უკვე შებოჭილი იყო. ხერგიანისგან ძლეულმა მამუკა მათიაშვილმა კი სეხნიასთან მახათაძესთან გაიყო III ადგილი.

იაპონელებმა ასწავლეს მსოფლიოს ძიუდო, მაგრამ თბილისში ჩამოსული ამომავალი მზის ქვეყნის შვილები მხოლოდ იეროგლიფებიანი კიმონოებითა და ვიწრო თვალებით თუ მოგაგონებდნენ ლეგენდარულ იამასიტას, საიტოსა და ვატანაბეს. მათ მხოლოდ 1 ოქროს მედალი ერგოთ 71 კილოგრამში, სადაც მასაში ნიტამ ირანელი კაზემ სარიჰანი დაამარცხა — მან ბევრი არ აწვალა მეტოქე და 2 წუთში ნაღდი იაპონური იპონით დასცა ტატამს. ამ წონაში ჩვენ მხოლოდ 1 მედალი შეგვხვდა — ბრინჯაოსი, რომელიც სარიჰანისგან ძლეულმა, ტურნირის ერთ-ერთმა ყველაზე ლამაზად მოჭიდავე ზაზა გულიაშვილმა მოიპოვა.

86 კილოგრამში ქართველთაგან იმდენი ცნობილი ფალავანი ასპარეზობდა, რომ ეჭვი არავის ეპარებოდა, ოქროს მედალი საქართველოში დარჩებოდა. ასეც მოხდა: ფინალში ჩვენებურები — სოსო ლიპარტელიანი და გიორგი წმინდაშვილი გავიდნენ. სოსო, მოგეხსენებათ, 78 კილოში ჭიდაობს, მაგრამ საამტურნიროდ წონა აღარ დაიკლო და მისთვის უჩვეულო 86-ში გამოვიდა. ფინალში გასვლა არცერთ ძიუდოისტს არ გასჭირვებია. შთამბეჭდავად და რისკიანად ჭიდაობდნენ, მაგრამ ფინალში მეტად ფრთხილობდნენ, რადგან ერთმანეთის ავ-კარგი კარგად იცოდნენ, ამიტომაც საქმე ჰანტეიზე მიდგა — მსაჯმა წითელი დროშა აafრიალა — წითელი ქამრით კი გიორგი წმინდაშვილი ასპარეზობდა. გია გუგავა, რომელმაც წმინდაშვილზე და ლიპარტელიანზე არანაკლები ლამაზი ორთაბრძოლები მოიგო, III ადგილს დასჯერდა ფრანგ ნასერ დალისთან ერთად.

ამით თბილისის ძიუდოისტთა 25-ე ტრადიციული ტურნირი დასრულდა, უპასუხო კითხვა კი მრავლად დატოვა. უპირველესად, ყველას აინტერესებს ოლიმპიური ჩემპიონის დავით ხახალეიშვილის ტურნირში არმონაწილეობის მიზეზი, მაგრამ ამ კითხვას ყველაზე უკეთ თავად დათო უპასუხებს. მან თბილისში ჩამოუსვლელობით მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობის ბოლო შანსიც გაუშვა ხელიდან. უდავო ფავორიტის არყოფნა ნაკრების მთავარ მწვრთნელს შოთა ხაბარელს ძნელი ამოცანის წინაშე აყენებს — მას ალბათ ალექსი დავითაშვილს, რამაზ ჩოჩიშვილსა და ზაზა დაბრუნდაშვილს შორის მოუწევს არჩევანის გაკეთება.

რაც უნდა ვმალოთ, ფაქტია, რომ ნაკრებში მთავარი პრობლემა 65 კილოგრამში ძიუდოისტის არჩევაა. თუმცა, ამ წონაში მოასპარეზე ორი უნიჭიერესი ფალავნის — გიორგი რევაზიშვილისა და გიორგი ვაზაგაშვილის პრობლემა უფროა, თორემ, ხაბარელს, რომ იტყვიან, თავი ქუდში აქვს: რომელი გიორგიც არ უნდა წაიყვანოს მსოფლიოს ჩემპიონატზე პარიზში, ამ წონაში მედლის მოპოვების უდიდესი შანსი არსებობს. ბიჭები კი ჯიუტად არ თმობენ ამ 65 კილოგრამს და გრამის მომატება-დაკლებას არ აპირებენ. თბილისის ტურნირზე გიორგი ვაზაგაშვილის არყოფნამ ბევრს ეჭვი გაუჩინა, რევაზიშვილთან შეხვედრას აარიდა თავიო, რადგან, შესაძლოა, ისინი ერთმანეთს შეხვედროდნენ. „ჯლანას" გამარჯვება საქმეს ურთულებდა ვაზაგაშვილს, რომელსაც, დღესდღეობით, 65-ში მოხვედრის მეტი შანსი აქვს. ეს ეჭვი გიორგი ვაზაგაშვილს უსაფუძვლოდ მიაჩნია: თავი არავისთვის ამირიდებია, უბრალოდ, შესანიშნავ ფორმაში ვარ, გამოცდილება არ მაკლია და ეს ტურნირი სამსოფლიოსჩემპიონატოდ ახალს არაფერს შემძენდა. თანაც, წელს ბევრი სანაკრებო და საკლუბო ტურნირი ვიჭიდავე და დასვენება მჭირდება. რაც შეეხება გიორგი რევაზიშვილს, მას მარტო ერთხელ კი არ მოვუგე, როგორც თვითონ აცხადებს. სპორტსმენი ტყუილს არ უნდა ამბობდეს. თუ დაფიქრდა, გაიხსენებს: ზედიზედ 3-ჯერ მარტო მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე დავჯაბნე, ორჯერ კი საქართველოს ჩემპიონატზე, თანაც, თითქმის ყველა იპონით. ამჟამად 65-ში უძლიერესი ვარ და ვისაც არ სჯერა, მზად ვარ, ნებისმიერ დროს დავუმტკიცო.

— კი, ბატონო! — უყოყმანოდ იღებს გაწვევას გიორგი რევაზიშვილი, — 65 კილოდან არსად წასვლას არ ვაპირებ და ვისაც ჩემს ძლიერებაში ეჭვი ეპარება, აგერ ტატამი, გამოვიდეს და მეჭიდაოს — ჯერ კიდევ ოფლშეუშრალი ტატამისკენ მიმითითებს „ჯლანა". „მოშუღართა" დაშოშმინება კი, რა თქმა უნდა, შოთა ხაბარელის საქმეა: „ღმერთმა ქნას, ყველა წონაში ისეთი კონკურენცია იყოს, როგორც 65 კილოშია. ორივე გიორგი მეგობრები არიან, თანაგუნდელები და ასევე დარჩებიან. პრობლემა კი ისე უნდა მოგვარდეს, რომ არც ერთს ევნოს და არც მეორეს, რაც მთავარია, არც ქართული სპორტის ინტერესებს" მიაჩნია ხაბარელს.

კაცური სიტყვაა! მოდით, ვენდოთ შოთა ხაბარელის კეთილგონიერებასა და ალღოს, რომელსაც, როგორც მწვრთნელისთვის, ჯერ არ უმტყუნია. ხაბარელისა არ იყოს, ჩვენც ხომ ის გვინდა, რომ ორივე ევროპის ჩემპიონი პარიზში ვიხილოთ და იქიდან გამარჯვებულნი დაგვიბრუნდნენ.

თბილისის საერთაშორისო ტურნირი, როგორც აღვნიშნეთ, ადრე „ა" კატეგორიისა იყო, ახლა კი, ჯერჯერობით, მეორედ — „ბ" კატეგორიისად მოიხსენიება. საქართველოს ძიუდოს ფედერაციის თავკაცები თავს არ ზოგავენ, რომ ტურნირი, რაც შეიძლება მალე, ერთი საფეხურით მაღლა აანაცვლონ. შაბათ — კვირას ყველაფერი გაკეთდა საამისოდ — ტურნირის ჩინებულმა ორგანიზაციამ და მაღალი დონის ასპარეზობამ არც ძიუდოს ევროკავშირის წარმომადგენლები დატოვა გულგრილად. კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ინგლისელმა ჯორჯ კერმა და კავშირის ოფიციალურმა დელეგატმა მეჩისლავ ბოლოჟევსკიმ ტურნირის დასასრულს აღნიშნეს, რომ სამომავლოდ თბილისის ტურნირი უთუოდ იმსახურებს „ა" კატეგორიას და თუ ჩვენ დაგვეკითხებიან, სიტყვას ნამდვილად შევაწევთო.

კომპლიმენტი კომპლიმენტად, მაგრამ ახლა მთავარი ისაა, ინგლისელი და პოლონელი მსტოვრები თუ როგორ ამბავს ჩაუტანენ ძიუდოს ევროკავშირის თავკაცებს.

**ლევან ჯავახიშვილი**

**გურამ დოლენჯაშვილი (ფოტო)**



გიორგი რევაზიშვილი



გიორგი წმინდაშვილი



ივერი ჯიქურაული

### ტურნირის პრიზიორები

| ადგილი | სპორტსმენი |
|---|---|
| **60 კგ** | |
| 1 | ულდუზ სულთანოვი (აზერბაიჯანი) |
| 2 | ნესტორ ხერგიანი (საქართველო) |
| 3 | მამუკა მათიაშვილი (საქართველო) |
| 3 | მამუკა მახათაძე (საქართველო) |
| **65 კგ** | |
| 1 | გიორგი რევაზიშვილი (საქართველო) |
| 2 | მამუკა კურდღელაშვილი (საქართველო) |
| 3 | გაზბეგ ცაგარაევი (რუსეთი) |
| 3 | შაჰინ არზუმანოვი (აზერბაიჯანი) |
| **71 კგ** | |
| 1 | მასაში ნიტა (იაპონია) |
| 2 | კაზემ სარიჰანი (ირანი) |
| 3 | გიიომ ფორტე (საფრანგეთი) |
| 3 | ზაზა გულიაშვილი (საქართველო) |
| **78 კგ** | |
| 1 | ჯამალ ჰასანოვი (რუსეთი) |
| 2 | გიორგი ჭაბუკაშვილი (საქართველო) |
| 3 | ბესიკ მუმლაძე (საქართველო) |
| 3 | მეჰმან აზიზოვი (აზერბაიჯანი) |
| **86 კგ** | |
| 1 | გიორგი წმინდაშვილი (საქართველო) |
| 2 | სოსო ლიპარტელიანი (საქართველო) |
| 3 | ნასერ დალი (საფრანგეთი) |
| 3 | გია გუგავა (საქართველო) |
| **95 კგ** | |
| 1 | ივერი ჯიქურაული (საქართველო) |
| 2 | ერიკ ფერუ (საფრანგეთი) |
| 3 | შინიჩიროსო (იაპონია) |
| 3 | ივანე არაბული (საქართველო) |
| **მძიმე** | |
| 1 | ტამერლან ტმენოვი (რუსეთი) |
| 2 | კაზუია ტამურა (იაპონია) |
| 3 | ალექსი დავითაშვილი (საქართველო) |
| 3 | ზაზა დაბრუნდაშვილი (საქართველო) |



# მომავალი გვაქვს, [illegible]

ევროთასზე წლის საქართველოდან არც ჩემპიონი მონაწილეობს და არც ვიცე-ჩემპიონი. არადა, რამდენი სასიამოვნო წუთი განგვაცდევინა შარშან ქართული გუნდების (განსაკუთრებით „ვითას") გამოსვლამ ევროთასზე „დინამოს" უარის თაობაზე კლუბის უფროს მწვრთნელს ლევან მოსეშვილს ვ[…] საუბრეთ.

— მიზეზი მარტივია — უსახსრობა. ჩვენ[…] გუნდს მინიმალური თანხებიც არა აქვს, რა[…]თა თუნდაც ერთ წრეში ითამაშოს, თორე[…] ევროპაში თამაში რომ დიდი სკოლაა, კა[…]რგად გვესმის.

**— გუნდი ახლა რა მდგომარეობაშია?**

— ბიჭები შვებულებაში არიან. წამყვანი მოთამაშეები უცხოეთის კლუბებში გადასვლას ცდილობენ, მაგრამ რადგან ჩვენში კალათბურთელთა უცხოეთში წასვლის ორგანიზაცია სათანადო დონეზე არ არის, ყველა თავ-თავისი გზებით, ნაცნობ-მეგობრებით ცდილობს ამ საქმის მოგვარებას.

**— „ვითადან" მიდიან წამყვანი მოთამაშეები, „დინამოდანაც" თუ წავიდნენ, ჩვენი ჩემპიონატი როგორიღა იქნება?**

— ჯერ საბოლოოდ ვითელების ბედი არ გარკვეულა. ვიცი, რომ გადაწყვეტილია ვახტანგ ნაცვლიშვილის თელ ავივის „მაკაბიში" გადასვლის საკითხი. ალბათ, ლევან ქარაბაკიც გადავა სალონიკის პაოკში. ასე რომ, როგორი „ვითა" იქნება წელს, ჯერ გაურკვეველია.

რაც შეეხება „დინამოს", თუ ჩვენი წამყვანი მოთამაშეები წავიდნენ, უპერსპექტივო მოთამაშეების აყვანას პატარებთან მირჩევნია მუშაობა. რა თქმა უნდა, ამით პირველი ადგილისთვის ბრძოლას გამოვაკლდებით, სამაგიეროდ, პერსპექტიულ გუნდს შევქმნი — ასე მირჩევნია.

თუ „ვითაშიც" იგივე მოხდა, გამორიცხული არ არის, წელს ჩემპიონობისთვის ბრძოლა სულ სხვა გუნდებს შორის გაჩაღდეს.

**— თქვენ ახლახან დაბრუნდით ბულგარეთიდან, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირიდან, სადაც 22 წლამდელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი იყავით. ამ ნაკრებზე დიდ იმედს ამყარებდით.**

— საფუძვლიანადაც. სამწუხაროდ, უძლიერესი შემადგენლობის შეკრება ვერ მოხერხდა — ლეგიონერები არ ჩამოვიდნენ. მიზეზი ჩემთვის უცნობია. ბერძენიშვილი თბილისში ყოფნისას ფეხს იტკიებდა, შეიძლება, ამის გამო ვერ შემოგვიერთდა. სტეფანიას კი 14 ივლისს ველაპარაკე და შემპირდა, რომ პირველი თამაშისთვის იქ იქნებოდა. სამწუხაროდ, ვერც მან მოახერხა ჩამოსვლა.

არადა, უძლიერესი შემადგენლობით, ეჭვიც არ მეპარება, არამარტო გავიდოდით ფინალურ ეტაპზე, არამედ საპრიზო ადგილისთვისაც ვიბრძოლებდით.

ისე დასანანია, რომ ამ უნიჭიერესმა თაობამ ევროპის პირველობაზე წარმატების ასეთი შანსი გაუშვა ხელიდან.

**— მაგრამ ისინი ხომ მოზრდილთა ნაკრების ბირთვს წარმოადგენენ და ყველაფერი წინაა?**

— ასეც მინდა რომ იყოს. ევროპის წინა პირველობის შესარჩევ ციკლშიც შეგვეძლო ფინალის საგზურისთვის ბრძოლა, რომ არა რამდენიმე დასანანი მარცხი. ახლა კი, როცა შემდეგი პირველობის შესარჩევი ჯგუფების კენჭისყრა მოეწყო, ჩვენმა ნაკრებმა ყოველ მიზეზგარეშე უნდა იბრძოლოს საგზურისთვის და აუცილებლად უნდა მოხვდეს ფინალურ ეტაპზე, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენი ნიჭიერი კალათბურთელების თამაში ევროპის საკალათბურთო ელიტამ ნახოს. მე მგონია, რომ თუ ვთქვათ, ვახტანგ ნაცვლიშვილს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე თამაშის შესაძლებლობა მიეცა, ის თავის სიტყვას ევროპის საუკეთესო კალათბურთელებშიც იტყვის.

**— ესე იგი, საქართველოს ნაკრებს აქვს პერსპექტივები.**

— რა თქმა უნდა, აქვს, თუ რამდენიმე საორგანიზაციო საკითხი მოგვარდა. ამ თაობასთან ერთად, რომელიც ახლაა ნაკრებში, და რომელიც თავადაა ახალგაზრდა, მათზე პატარებშიც არიან ნიჭიერი მოთამაშეები, რომელთაც უკვე ამა თუ იმ ევროპულ ტურნირებზე არცთუ ურიგოდ იასპარეზეს. საჭიროა ისეთი ადამიანების მოზიდვა კალათბურთში, ვინც ფინანსურ ოპერაციებს წარმართავენ და ამ მხარეს გაუწევენ კურირებას. უცხოეთში წასვლაშიც ბევრი საკითხია მოსაგვარებელი. ახლა ყველა თავისით ცდილობს იქ მოხვედრას და უცხოურ კლუბთან ისეთ ხელშეკრულებას დებს, სადაც ნაკრების ინტერესი გაუთვალისწინებელია. ც ფინანსებთანაა დაკავშირებული და ამის გამო ეროვნული ნაკრები ზარალდება. ალბათ, ჩემპიონატის ორგანიზაციასაც უნდა მიხედვა. მოკლედ, პრობლემები ბევრია...

**ილია მხეიძე**

ჩოგბურთი

# ნუ გეშინია, სერხი

კიცბიუელი (ავსტრია) „ჯენერალ ოუფენ“. ტარდება თიხნარზე. საპრიზო ფორდი 525 ათასი დოლარი.

**მეოთხედფინალები:** ხულიან ალონსო (ესპანეთი) — ერნან გუმი (არგენტინა) 4:6, 6:3, 7:6; სლავა დოსედელი (15, ჩეხეთი) — მარსელო ფილიპინი (9, ურუგვაი) 7:5, 6:4; ფილიპ დევულფი (10, ბელგია) — ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) 7:5, 7:5; გალო ბლანკო (ესპანეთი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:7, 6:2, 6:4.

წრის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი დევულფსა და კაფელნიკოვს შორის იყო. მას შემდეგ, რაც ტურნირის სხვა ბობოლები ადრეულ ეტაპზე გავარდნენ, ფავორიტებად სწორედ ესენი ითვლებოდნენ. ბელგიელი უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, რადგან კაფელნიკოვს იმავე დილით წინა წრის გადადებული მატჩის დამთავრება მოუხდა იტალიელ ფურლანთან. ორივე სეთის დასაწყისი რუსის უპირატესობით წარიმართა: პირველში იგი 4:1-ს იგებდა, მეორეში 5:3-ს, მაგრამ ორივეს დასასრული ჩააფლავა, მეტოქეს იოლი ბრეიქები გაახერხებინა და ჩემოდნის ჩალაგებაც დროზე ადრე მოუწია. მანამდე კი საკუთარი თამაშით უკმაყოფილო ევგენიამ პრესკონფერენციაზე შეიარა: „ეს წელი ისე კარგად არ მიდის, როგორც ვისურვებდი, ერთადერთი ტურნირის მოგება მოვახერხე. არც წლის ბოლოს კლასიფიკაციაში დაკავებული ადგილი დამაყენებს კარგ გუნებაზე.“ კაფელნიკოვს წლეულს ტრავმის გამო 4 თვე გაუცდა და მეოთხედფინალებს მხოლოდ ორჯერ გასცდა. ყველასთვის უცნობმა ხულიან ალონსომ კერტენის მძლეველ ერნან გუმის მოუგო ყველაზე ხანგრძლივ და დაძაბულ მატჩში 4:6, 6:3, 7:6 (7:5). ავსტრიელთა იმედები კი ესპანელმა გალო ბლანკომ დაასამარა. მან ასევე სამ სეთში შტეფან კუბეკი დაამარცხა 6:7, 6:2, 6:4.



ფილიპ დევულფს ავსტრია მეორე სამშობლოდ ექცა

**ნახევარფინალები:** ალონსო — დოსედელი 6:3, 6:4; დევულფი — ბლანკო 6:3, 6:2.

ესპანელი ხულიან ალონსო 19 წლისაა და ATP-ს მხოლოდ მესამე ტურნირში ითამაშა. მარტში, ქი-ბისქეინში მან მესამე წრეში გასვლა მოახერხა, აპრილში, ბარსელონაში კი მეორეშივე გავარდა. ასე რომ, მსოფლიოს 92-ე ჩოგანს ნახევარფინალამდეც კი არ მიუღწევია. თუმცა, ახალბედასთვის არასოდესაა გვიან და ალონსომაც თავი გამოიდო ჩეხ დოსედელთან, რომელმაც მანამდე მასპინძელთა კურპი მესტერი გააგდო ორ სეთში — 6:3, 6:4. აი, მის თანამემამულე ბლენკოს კი დევულფთან შეხვედრაში შანსი არ ჰქონია — 3:6, 2:6.

**ფინალი:** დევულფი — ალონსო 7:6, 6:4, 6:1.

ფილიპ დევულფი უკვე 25 წლისაა და ახალგაზრდა მეტოქეზე უკეთ უწყის, რომ მსგავსი ტურნირის მოგების შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვა. დაძაბული მხოლოდ პირველი სეთი გამოდგა, სადაც საქმე თაი-ბრეიქამდე მივიდა. აქ ბელგიელი უშეცდომოდ გაისარჯა და 7:2 მოიგო. მეორე ხელში ალონსო ჯერ კიდევ იბრძოდა, მაგრამ ესეც რომ დათმო, თამაშის ხალისი მთლად გაუქრა და მესამე სეთში პრესტიჟის ერთადერთი გეიმიღა გაახერხა. დევულფმა კარიერაში მეორე ტურნირი მოიგო და 62 400 დოლარიც მიითვალა. ავსტრია მისთვის მართლაც ბედნიერი ადგილია: თავისი წინა გამარჯვებაც ვენაში მოიპოვა 1995 წელს. ჯერ კიდევ როლან გაროსამდე დევულფს 124-ე ადგილი ეკავა კლასიფიკაციაში, მაგრამ ამ ზაფხულს წარმატებული თამაშით უკვე მეოთხე ათეულში შეაღწია.

ხორვატიის ღია პირველობა. ტარდება თიხნარზე. საპრიზო ფონდი 400 ათასი დოლარი.

**მეოთხედფინალები:** სერხი ბრუგერა (1, ესპანეთი) — პოლ ჰაარჰიუსი (8, ჰოლანდია) 6:3, 6:4; ფელიქს მანტია (3, ესპანეთი) — დომინიკ ჰრბატი (ნ, სლოვაკეთი) 3:6, 6:3, 6:4,; კარლოს მოია (2, ესპანეთი) — ალბერტო პორტასი (ესპანეთი) 6:3, 7:5; ალბერტო მარტინი (ესპანეთი) — ხავიერ სანჩესი (4, ესპანეთი) 3:6, 6:4, 6:1.

თუ მეოთხედფინალში ესპანელებმა ორი უცხო ტომის კაცი მაინც იგუეს, ნახევარფინალში ადგილი არავის დაანებეს და მთლად შინაური ომისთვის გაემზადნენ. სერხი ბრუგერამ ჰოლანდიელი ჰაარჰიუსი უკანა ხაზს მიაჯაჭვა და მოკლე დარტყმებით სიქის გაძრობამდე არბენინა, საბოლოოდ — 6:3, 6:4. მანტიას კი ხვატში მოუწია თამაშმა და 19 წლის ჰრბატთან ძალიანაც გაუჭირდა. — 6:3, 3:6, 4:6. ალბერტო მარტინმა მეექვსედ განთესილ კაროლ კუჩერას მეოთხე — ხავიერ სანჩესიც მიაყოლა და ნახევარფინალის ერთადერთი განუთესელი მონაწილე შეიქნა.

**ნახევარფინალები:** ბრუგერა — მარტინი 6:3, 6:1; მანტია — მოია 7:6, 5:7, 6:3.

**ფინალი:** მანტია — ბრუგერა 6:3, 7:5.

ბრუგერა როლან გაროსის ორგზის ჩემპიონია და ერთ დროს ზედიზედ იგებდა ტურნირებს, მაგრამ 1994 წლის შემდეგ, პრაღაში უკანასკნელი ტიტული რომ მიითვალა, გადამწყვეტ გამარჯვების მოპოვება ვერაფრით მოუხერხებია. წლეულს ტრავმებით გატანჯული სერხი ფორმაში ჩადგა და საჩოგბურთო ელიტასაც დაუბრუნდა, მაგრამ ეს ავადსახსენებელი კომპლექსი კვლავ შემორჩა — იანვარს აქეთ უკვე მესამე ფინალი წააგო. აი, მანტია კი ფინალში უიღბლობას ნაღდად არ უჩივის — ბოლო ორ თვეში ეს უკვე მისი მესამე ტიტულია.

პირველ სეთში მანტიამ 2:2-ზე პირველი ბრეიქი გაახერხა და უპირატესობა ხელიდან აღარც გაუშვია. მეორე ხელში იგი 4:0-ს იგებდა, მაგრამ ბრუგერას დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა და რისკიანი, მაგრამ ზუსტი თამაშით ზედიზედ 5 გეიმი მიითვალა. თავისდა სავალალოდ, მან მეტი ველარაფერი მოახერხა და სეთი, მატჩი და მორიგი საჩემპიონო ტიტულიც მეტოქეს გადაულოცა. მანტიამ 54 000 დოლარი მიიღო და კლასიფიკაციაში მე-11 ადგილამდე აღზევდა.

ლოს ანჯელესი. „ინფინითი ოუფენ“. ტარდება ჰარდზე. საპრიზო ფონდი 328 ათასი დოლარი.

**მეოთხედფინალები:** გორან ივანიშევიჩი (1, ხორვატია) — ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) 7:6, 6:2; ტომას ენკვისტი (2, შვედეთი) — კენეტ კარლსენი (დანია) 6:3, 7:5; გიიომ რაუ (საფრანგეთი) — მარკ ფილიპუსისი (3, ავსტრალია) 7:6, 6:4; ჯიმ ქურიე (6, აშშ) — რიხარდ კრაიჩეკი (4, ჰოლანდია) 7:6, 7:5.

გიიომ რაუ ლოს ანჯელესში ავსტრალიელებს გადაემტერა: მერვედფინალში მან ფათრიკ რაფთერი გაანაწყენა, მეოთხედფინალში კი მარკ ფილიპუსისიც არ დაინდო — 7:6, 6:4. „როცა მარკი აწოდებდა, სხვაზე არაფერზე ფიქრობდა, ცდილობდა, უფრო და უფრო სწრაფად დაერტყა. ჩოგბურთელი კი, მოწოდების გარდა, თამაშის სხვა ელემენტებსაც უნდა აქცევდეს ყურადღებას“ — ჭკუის დარიგება არ დაიზარა გამარჯვებულმა. გორან ივანიშევიჩს ბაირონ ბლიქთან პირველ სეთში გაუჭირდა, მაგრამ თაი-ბრეიქი 220 კმ-სთ-იანი ეისით დაამთავრა 7:3, მეორე ხელში კი 2 ბრეიქი გაახერხა და 6:2 მოიგო, რიხარდ კრაიჩეკს კი ყუმბარისებურმა მოწოდებამ ჯიმ ქურიესთან მატჩში არ უშველა — 6:7, 5:7.

**ნახევარფინალები:** ქურიე — ივანიშევიჩი 6:3, 6:4; ენკვისტი — რაუ 6:4, 6:1.



ჯიმ ქურიე ელიტას უბრუნდება

ჯიმ ქურიეს მოწოდებაში გაწაფული მეტოქეების დამარცხება არად უღირს. ენკვისტის ჰოლანდიელ დიდოსტატს მან ხორვატიც მიაყოლა, ისიც 2 სეთში — 6:3, 6:4. ისე, ივანიშევიჩი დიდად არ შეუწუხებია დამარცხებას: „მე გასავარჯიშებლად ჩამოვედი და თავად გამიკვირდა, ნახევარფინალში გასვლა რომ მოვახერხე. დღეს კი მხოლოდ მოწოდებითა და უკანა ხაზზე თამაშით ვცდილობდი მოგებას. ასე თამაში ჯიმთან არ შეიძლება, მასთან რაიმე განსხვავებული უნდა სცადო.“ წარმატებული გამოდგა ენკვისტის დაბრუნება. მარცხენა ფეხის ტრავმით გამოწვეული სამთვიანი შესვენების შემდეგ იგი პირველივე ტურნირის ფინალში გავიდა.

**ფინალი:** ქურიე — ენკვისტი 6:4, 6:4.

ქურიემ ორივე სეთის ბოლოს მეტოქის მოწოდების მოგება მოახერხა, რამაც გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. ორივე მეტოქე უკანა ხაზზე თამაშს ამჯობინებს, აქ კი ამერიკელი იშვიათად ცდებოდა. ენკვისტს ფინალში 13-ჯერ უთამაშია და ერთადერთხელ დამარცხებულა — ისიც ლოს ანჯელესში, 1995 წელს მიხაელ შტიხთან. ქურიესთან წინა 5 შეხვედრიდან კი ერთადერთში ემარჯვა. „ინფინითის“ მოგება არც ამჯერად ეწერა. რაც შეეხება ქურიეს, ყოფილი პირველი ჩოგანი ამ გამარჯვებით კლასიფიკაციაში მისთვის უჩვეულო 29-ე ადგილიდან ცოტათი მაინც აინაცვლებს. კარიერაში 21-ე ტიტულის მოგებამ მას 43 ათასი დოლარი შემატა.

სთენფორდი. კალიფორნია. „ვესთ ბანკი“. ტარდება ჰარდზე. საპრიზო ფონდი 450 ათასი დოლარი.

**მეოთხედფინალები:** კონჩიტა მარტინესი (6, ესპანეთი) — მონიკა სელეში (2, აშშ) 7:6, 6:4; ამანდა კუტცერი (3, სამხრეთ აფრიკა) — ქიმბერლი ფო (7, აშშ) 7:5, 6:4; მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ლინდა უაილდი (აშშ) 6:1, 6:7, 6:3; ლინდსი დევენფორთი (4, აშშ) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 7:6, 6:3.

ყველა მეოთხედფინალიდან მარტინეს — სელეშის მატჩია გამოსარჩევი. საქმე ისაა, რომ ესპანელს მონიკასთან წინა 11 შეხვედრაში ერთი სეთიც არ მოეგო. წინა წლებთან შედარებით ორივე ჩოგბურთელი წლეულს ცუდად ასპარეზობს, მაგრამ სელეშმა მეტადრე უკლო თამაშს. ესპანელმა თავის ნემეზისს პირველი სეთი თაი-ბრეიქზე 7:5 გამოგლიჯა, მერე კი დიდი ხნის ნანატრი გამარჯვება მოიპოვა. ამერიკელი უაილდი კარგა ხანს უძალიანდებოდა ჰინგისს, მაგრამ მესამე სეთში 3:1 რომ დაწინაურდა, მეტოქე გააგულისა და ზედიზედ 5 გეიმიც დათმო.



მარტინა ჰინგისმა წლეულს მერვე ტიტული მოიგო

**ნახევარფინალები:** ჰინგისი — დევენფორთი 6:3, 1:6, 6:2; მარტინესი — კუტცერი 6:4, 6:0.

მარტინესმა პირველ სეთში 3:4-ზე ზედიზედ 9 გეიმი მოიგო და ჩია კუტცერი სულ გაანადგურა, ჰინგისმა კი მეწყვილე დევენფორთს მხოლოდ მეორე სეთი უწყალობა.

**ფინალი:** ჰინგისი — მარტინესი 6:0, 6:2.

ჰინგისმა წლეულს 50-ე მატჩი მოიგო, წაგებათა გრაფაში კი ერთიანს, ალბათ, კარგა ხანს შეინარჩუნებს. შარშან მარტინამ აქ თითქმის იგივე ანგარიშით სძლია მონიკა სელეშს 6:2, 6:0. ესპანელმა კი წაგება გადაღლას გადააბრალა, რაკილა წინა დღეს შუაღამემდე მოუწია თამაშმა და გამოძინება ვერ მოახერხა.

„ვარშავის თასი“. ტარდება თიხნარზე. საპრიზო ფონდი 165 ათასი დოლარი.

**ნახევარფინალები:** ბარბარა პაულუსი (1, ავსტრია) — ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:2, 6:1; ჰენრიეტა ნაგიოვა (6, სლოვაკეთი) — რუქსანდრა დრაგომირი (2, რუმინეთი) 6:4, 7:5.

**ფინალი:** პაულუსი — ნაგიოვა 6:4, 6:4.

გაიოზ ბერიძე

ველორბოლა

# ულრიხი — მეფე, [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS

იან ულრიხი: ეს ერთი და სხვა მრავალი?

26 ივლისი. მე-20 ეტაპი. პარიზი. დისნეილენდი. 63 კილომეტრი. სიჩაუქის გამოცდა.

დისნეილენდის სიჩაუქის გამოცდა უკანასკნელი ეტაპი იყო, რომელსაც რაიმეს შეცვლა შეეძლო პოდიუმზე ამსვლელთა წყობაში. შარშან დისნეილენდში ყველაზე სწრაფი იან ულრიხი იყო. მან ლეგენდარულ ესპანელ მრბოლ მიგელ ინდურაინს თითქმის ერთი წუთით აჯობა, ასე რომ, წლეულსაც იგი ითვლებოდა ფავორიტად. სიჩაუქის გამოცდაში არც შარშანდელი ჩემპიონი, დანიელი ბიარნე რიისია ჯაბანი და პოდიუმზე ადგილის მოსაპოვებლად სწორედ აქ შეეცდებოდა იერიშის მიტანას, მაგრამ აყლაყუდა დანიელს წელს ბედი არ წყალობს. დაცემებისა და მუცლის ტკივილის შემდეგ თითქოს უარესი რაღა უნდა მოსვლოდა, მაგრამ გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო, მასზე ყოფილა ნათქვამი. რიისმა სტარტზე გამოცხადება დააგვიანა, რბოლა რომ ახალი დაწყებული ჰქონდა, ველოსიპედიდანაც გადმოვარდა, დაზიანებული უკანა ბორბალი რომ შეუცვალეს, ისიც კი ცუდად დამაგრებული აღმოჩნდა, რამაც ჯაჭვი გაუწყვიტა. გუნდის პერსონალმა მაინც გაბედა გაცოფებულ მრბოლთან მისვლა და ახალ ველოსიპედზე დაჯდომაზეც დაიყოლიეს. რიისმა ეტაპზე 93-ე შედეგი უჩვენა, გამარჯვებულს 9 წუთითა და 11 წამით ჩამორჩა, თუმცა, საერთო ჩათვლაში მეშვიდე ადგილი მაინც შეინარჩუნა.

ეტაპი კი ესპანელმა აბრაამ ოლანომ მოიგო. დისტანციის გავლას მან 1 საათი, 15 წუთი და 57 წამი მოანდომა. ოლანო მიგელ ინდურაინის მემკვიდრედ ითვლება, თუმცა, მსგავსი მიღწევებით ჯერჯერობით ვერ დაიკვეხნის. მისთვის ამ ეტაპის მოგებაც კი მეტად სასიხარულო იყო. მეორე შედეგი ულრიხმა უჩვენა, იგი ოლანოს 45 წამით ჩამორჩა, პრესკონფერენციაზე კი აღნიშნა, რომ დაიღალა ტურითაც და მის გარშემო შექმნილი ატმოსფეროთიც. საერთო ჩათვლაში უახლოეს მდევარს გერმანელმა უკვე 9 წუთზე მეტით გადაასწრო.

**მე-20 ეტაპი:** 1. აბრაამ ოლანო 1:15,57 (საშუალო სიჩქარე 49,7 კმ-სთ); 2. იან ულრიხი +0,45; 3. ფილიპ გომონი (საფრანგეთი) + 1,12; 4. ბობი ჯულიჩი (აშშ) + 2,24; 5. ერიკ დეკერი (ჰოლანდია) + 2,39; 6. კრისტოფ მორო (საფრანგეთი) + 2,56... 9. რიშარ ვირანკი (საფრანგეთი) + 3,32... 16. მარკო პანტანი (იტალია) + 4,35.

27 ივლისი. 21-ე ეტაპი. პარიზი. დისნეილენდიდან ელისეს მინდვრებამდე.

21-ე ეტაპს ფაქტობრივად აღარაფრის გადაწყვეტა არ შეეძლო, ამიტომ პელოტონმა ძმურ ერთობაში იარა და ბრძოლა მხოლოდ ფინიშზე გაიმართა. საინტერესო რამ კი ტრიუმფალურ თაღთან მოხდა: ბიბლიური ადამის ტანსაცმელში გამოწყობილმა კაცმა ჯგროს წინ მოინდომა გასეირნება. ლეღვის ფოთოლს ამ კოლორიტულმა პიროვნებამ ქუდი და მზის სათვალეები არჩია. გაოცებულ მაყურებლებსა და მრბოლებს ამ სანახაობით ტკბობა დიდი ხნით არ დასცალდათ: რამდენიმე მამაცმა კანონიერების დამცველმა უცნობი სწრაფად დაიჭირა და გაურკვეველი მიმართულებით გააქანა. საფინიშო სპურტი კი გერმანელ ერიკ ცაბელსა და იტალიელ ნიკოლა მინალის შორის ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. მისი დროა 3 საათი, 54 წუთი და 36 წამი. სამი ჩამორჩენილი მრბოლის გარდა მთელმა პელოტონმა იგივე დრო უჩვენა. საერთო ჩათვლაში არაფერი შეცვლილა და 84-ე ტურის ჩემპიონობაც ულრიხმა უკვე ოფიციალურად გაიფორმა. მეორე ადგილზე გასულ რიშარ ვირანკს მან 9 წუთითა და 9 წამით მოუგო, რაც 1984 წლის შემდეგ ყველაზე დიდი უპირატესობაა. მესამე ადგილი იტალიელ მარკო პანტანის ხვდა წილად. ულრიხი პირველი გერმანელი შეიქნა, ვინც ტურ დე ფრანსის მოგება მოახერხა. ყვითელი მაისური მის თანამემამულეთაგან კი მანამდე შორეულ 1978-ში უტარებია კლაუს პეტერ ტალერს. 23 წლის ულრიხი ტურის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებულია და მას კიდევ რამდენიმე ჩემპიონობასაც უწინასწარმეტყველებენ. გერმანული გაზეთები ბოლო დღეებში მხოლოდ მისი მეტსახელების გამოძებნითა არიან დაკავებული — „პრინცი“, „მეფე“, „ტურის გოლიათი“, „ტურმინატორი“, „უცხოპლანეტელი“. შინ დაბრუნებულ ულრიხს თაყვანისმცემელთა ჯარი ელის.

ქულათა ჩათვლაში პირველი ადგილი ზედიზედ მეორედ დაიკავა ასევე გერმანელმა, თან ულრიხის „ტელეკომელმა“ თანაგუნდელმა ერიკ ცაბელმა. „ტელეკომმა“ ჰეთ-თრიქიც გააკეთა — გუნდურ ჩათვლაშიც პირველ ადგილზე გავიდა. ერთადერთი დარჩენილი ჯილდო კი მასპინძელ რიშარ ვირანკს ერგო „ფესტინადან“. მან „მთის მეფის“ ტიტული მოიპოვა.

**21-ე ეტაპი:** 1. ნიკოლა მინალი 3:54,36 (საშუალო სიჩქარე 38,2 კმ-სთ); 2. ერიკ ცაბელი; 3. ჰენკ ფოგელსი (ავსტრია); 4. იერონ ბლაილევენსი (ჰოლანდია); 5. ჯორჯ ჰინქეფი (აშშ); 6. რობი მაქივენი (ავსტრალია) — ყველას იგივე დრო.

ლევან ჩხეიძე

## საერთო ჩათვლა

1. იან ულრიხი 100:30,35; 2. რიშარ ვირანკი + 9,09; 3. მარკო პანტანი + 14,03; 4. აბრაამ ოლანო + 15,55; 5. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი) + 20,32; 6. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია) + 22,47; 7. ბიარნე რიისი + 26,34; 8. ხოსე მარია ხიმენესი + 31,17; 9. ლორან დიუფო (შვეიცარია) + 31,55; 10. რობერტო კონტი (იტალია) + 32,26.

## ქულათა ჩათვლა

მწვანე მაისური

1. ერიკ ცაბელი 350 ქულა; 2. ფრედერიკ მონკასინი (საფრანგეთი) 223; 3. მარიო ტრავერსონი (იტალია) 198; 4. იერონ ბლაილევენსი 192; 5. ნიკოლა მინალი 156; 6. იან ულრიხი 154.

## მთის მეფე

დაწინწკლული მაისური

1. რიშარ ვირანკი 579 ქულა; 2. იან ულრიხი 328; 3. ფრანჩესკო კასაგრანდე 309; 4. მარკო პანტანი 269; 5. ლორან ბროშარი (საფრანგეთი) 241; 6. ლორან დიუფო 212.

## გუნდები

1. „ტელეკომი“ 301:51,30; 2. „მერკატონე უნო“ + 31,56; 3. „ფესტინა“ + 47,52; 4. „ბანესტო“ + 1:05,15; 5. „კელმე“ + 2:20,22; 6. „მაპეი“ + 2:28,14.


**გამოსაცდელი ვადით სათანამშრომლოდ ვიწვევთ**

უცხოურ ჩოგბურთზე, კალათბურთზე, კრივზე, მძლეოსნობაზე, ველოსპორტსა და თხილამურობაზე წერის მსურველებს.

მოგვმართონ მხოლოდ მათ, ვისაც ქართულად ნათლად შეუძლია წერა, ერკვევა სპორტის ხსენებულ სახეობებში და რიგიანად იცის ინგლისური.

დამკაბადონებლად ვეძებთ სპორტის მცოდნე, მოწესრიგებულ, მარდ, გემოვნებიან მეგაზეთე ვაჟ სპეციალისტს

ოპერატორად ვიწვევთ კომპიუტერული — ღცუკენგშწზხჯ განლაგებით მბეჭდავ განათლებულ, ალღოიან, განაფულსა და ბეჯით ქალს. სპორტით დაინტერესება სასურველია, საზღვარგარეთის ელემენტარული გეოგრაფიის ცოდნა კი სავალდებულო

მსურველები შეგვეხმიანონ კვირას, სამშაბათს ან ხუთშაბათს, 13-დან 17 საათამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გულ-შემატკივრის გულის-ტკივილი

# უბრალო ხალხმა რა დავაშავეთ?

გაზეთებში მოტოციკლსა და ავტორალზე ვწერ, მაგრამ უკლებლივ ყველა სპორტი ძალიან მიყვარს.

„სარბიელმა" დიდი რეკლამა გაუკეთა რაგბის სამეულის სერიალს და განსაკუთრებით მელბურნის ისტორიულ თამაშს. ჩვენც, მთელი ქალაქის სპორტის ქომაგები საბირჟაო ბალებიდან შაბათ საღამოს ვერელ, ვაკელ და საბურთალოელ ნაცნობმეგობრებს ვესტუმრეთ, ხორაგი მივიტანეთ, მოკრძალებული სუფრა გავშალეთ და მაგარი მატჩის სანახავად გავემზადეთ.

ამაოდ ველოდით გაზეთის მიერ ნაქებ VII არხზე Star TV-ის ჩართვას. რაგბის დაწყებას ცოტა რომ უკლდა, უცბათ გათიშეს HTB+, მაგრამ იმ წუთს აღადგინეს. ამის მერე სპორტის მოყვარული ხალხი სულ ტყუილად მივჩერებოდით ეკრანებს — რაგბი არ გვაყურებინეს.

გულზე ხელი არ დაგვიკრეფია. ბევრი ვრეკეთ 36-86-56. VII არხის ქალბატონი გვამშვიდებდა, თქვენი თხოვნა გადაცემულიაო. მერე ყურმილი გადადეს და ჩვენც უბნელებთან რეკვა დავიწყეთ. ყველასგან იგივე პასუხი მივიღეთ: გვპირდებიან, რაგბს ჩაგირთავთო, მაგრამ არც ჩვენთან ჩართულაო.

ამ კატა-თაგვობანას თამაშში რაგბის თამაში გათავდა. ბოლოს ერთერთი გულშემტკივრისგან გავიგეთ, რომ VII არხი რაღაც საბუთს თხოვს რაგბის კავშირს, უფრო — ოფიციალურ მიმართვას. ამის შემდეგ ყველაფერი გასაგები გახდა, მაგრამ ჩვენ ამით რა — გული ტყუილად ვიხეთქეთ და ძალიან დიდი თამაში ვერ ვნახეთ სხვების უვარგისობის მიზეზით.

გაზეთის ერთგულმა მკითხველმა იცის, რომ რაგბის კავშირი საბუთებთან მუშაობაში ძალიან იჭრება. მსოფლიო ჩემპიონატის დებულება ვერ წაიკითხა და ჩვენებმა გადამწყვეტი თამაში თბილისის მაგივრად სტუმრად გამართეს. ეროვნული ჩემპიონატი მაისში დაიწყო, მაგრამ დებულება ივლისში დააზუსტეს. ესე იგი, კავშირი თავის მთავარ მოვალეობას ვერ ართმევს თავს და ავსტრალიას მიხედავს? — სერიალი ისე დამთავრდება, რომ VII არხი მაგ საბუთს ვერ მიიღებს.

მერე ჩვენ რა დავაშავეთ? დავთვალეთ და დავადგინეთ, რომ 500 კაცს დაურეკია და რაგბი უთხოვია. ამის მერე ის ვიკითხოთ, რატომ არ ითვალისწინებს VII არხი მაყურებლის სურვილს.

არ ვიცი, რისი ბრალია, მაგრამ VII არხს რაგბი რაგბის კავშირის ერთპიროვნული საკუთრება გონია. რაგბის მოთამაშეებს შესაძლოა სექტანტების არა, მაგრამ დარტყმულთა რეპუტაცია კი ნაღდად აქვთ. ამის მერე არაა გასაკვირი, რომ საზოგადოებაში შექმნილია ცრუ შთაბეჭდილება, თითქოს მაღალი დონის რაგბი მოთამაშეთა და სპეციალისტთა მეტს არავის აინტერესებს.

არა, ბატონო, ეგრე არაა. დიდი რაგბის ნახვის მსურველი თბილისში რაგბის ქართველ მოთამაშეებზე ათჯერ და ასჯერ მეტია. ამას გულშემატკივართა არმიის მცნობი კაცი ვამტკიცებ.

კიდევ გაუგებარია, რაში ჰირდება რაგბის ჩართვას რაგბის კავშირის საბუთი. განა „დორტმუნდი" — „იუვენტუსის" ფინალის ჩართვას ნოდარ ახალკაცის წერილი ჰირდება? განა ფორმულა-1 ხალხს აჩვენეთო, ავტოსპორტის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი მაქს მოსლი წერს VII არხს? ან კიდევ, HTB-ის ბოევიკების ჩვენებას ლანა ღოღობერიძე და გიორგი გვახარია ითხოვენ განა?

თუ საბუთში სხვა რამე იგულისხმება, პირდაპირ უნდა ითქვას. გარეშე კაცმაც ვიცი, რომ კეთილი და შეძლებული ხალხი რაგბში არ დაილევა. მათი ვაჟკაცობის იმედი ჩვეულებრივი, რაგბის გარეშე მდგომ გულშემატკივრებს ნუ მოგვიშალოს ღმერთმა, თორემ რაგბის წრის შინაური ხალხი — „სარბიელის" ლუკა, ჟორა რამიშვილი, დიმა დვალი და სხვანი დიდი გაქექილი ვინმეები არიან და გინდ ქვეყანა დაიქცეს, დიდ თამაშს მაინც ნახავენ, უბრალო ხალხი კი კიდევ ბევრჯერ დავიჩაგრებით.

**თენგიზ არტამონოვი**

**PS** გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, VII არხს კვირას მოულოდნელად გაუთიშია HTB+, რომელზეც სერიალი „რვაფეხა" უნდა ყოფილიყო და რაგბის გამეორება ჩაურთავს. ამას რომ არავინ ელოდა, თამაში ველარც უნახავს. ძალიან მეეჭვება, რომ რაგბის კავშირს კვირა დილას VII არხისთვის წერილი მიეწერა.

## სამეულის სერიალი



საზრიანმა მელბურნელებმა საკრიკეტო-საბურთაო ოვალში რაგბის მართკუთხედი ისე ჩახაზეს, რომ სამხრეთი ტრიბუნის „ოქროს ბილეთების" მფლობელ ბობოლებს თამაშისთვის სხვებზე მარჯვედ — ახლოდან ეჭვრიტათ



„ოლ ბლექსის" შერკინებამ თავისი სიტყვა მაინც თქვა. აი, ამჯერადაც, მარბიელ ჯოშ კრონფელდს ვერც „ვოლაბთა" ცქვიტმა 9 ნომერმა ჯორჯ გრეგანმა დააკლო რამე და ვერც ვეება ბურჯმა რიჩარდ ჰარიმ

როიტერი მელბურნის „კრიკეტ გრაუნდიდან"

# ჰართი სულ ტყუილად შიშობდა

ვიქტორიის მედიამ ავსტრალიური ბურთაობის გამაღმერთებელ თანა-მეტატეებს რაგბი სამ წესად აუხსნა: ერთი, რომ ბურთის წინ მიწოდება არ შეიძლებაო; მეორე, როცა „ოლ ბლექსი" ჰაკას ასრულებს, არ უნდა გაიცინოთო; და მესამე, ზელანდია ყოველთვის იმარჯვებსო.

შაყირი იქეთ იყოს და მელბურნელებმა გამოიცნეს. ზელანდიელმა სტუმრებმა საკმაოდ ადვილად გაიმარჯვეს, ავსტრალია ბოლო სამ წელში ზედიზედ მეექვსედ ძლიეს, გონიერ მწვრთნელ ჯონ ჰართის უფროსობით გამართულ მე-16 თამაშშიც მე-15-ედ გაიმარჯვეს. აღარას ვამბობთ იმაზე, რომ ბოლო ტესტის მიუხედავად „ოლ ბლექსმა" ისევ შეინარჩუნა ავსტრალიასთან საცილო ბლედისლოუს თასი, რაკი სერიაში 2-0 დაწინაურდა, და სტუმრად ორი მოგების გამო სამეულში გამარჯვებაც პრაქტიკულად დაიბევა, რადგან შინ ალბათ არ წააგებს.

არადა, ჰართი ერთობ შიშობდა. მან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა წლევანდელი განრიგი, რომლის მიხედვითაც შეჯიბრის სტარტზე „ოლ ბლექსს" ჯერ აფრიკის მთიანეთში მოუწია თამაში, ერთი კვირის თავზე კი მელბურნში, რაგბისთვის აქამდე უცნობ გარემოში. მოძღვარი ამბობდა, ასეთი გამოცდა რაგბის ისტორიაში აქამდე არცერთ გუნდს ჩაუბარებიაო.

თამაშის წინადღით ჰართი და „ვოლაბთა" მწვრთნელი გრეგ სმითი, თითქო კრივიაო, სიტყვიერად შეიბნენ. ავსტრალიელმა კიდევ ახსენა ინგლისელი მსაჯი და დაამატა, თუ მორისონი „ოლ ბლექსის" ლაჩრულ ოფსაიდებს ვერ აღკვეთავს, ჩემი ბიჭები მეტოქეს თავად ასწავლიან ჭკუასო. ამაზე ჰართმა მიუგო, კეთილი, ვაჩხუბოთ გუნდები; ისე კი, რაგბში რა უნდა გესაქმებოდეთ, თუ გუნდს ამგვარ რამეს ასწავლისო.

შარშანდელისგან განსხვავებით, „ვოლაბებმა" „ოლ ბლექსის" ჰაკას თვალი აღარ აარიდეს. მანამდე სტადიონზე 20-წუთა ფოიერვერკი მოეწყო, 15-მეტრა გასაბერი ბლედისლოუს თასი კი მოედანზე დაფრინდა.

თამაში ავსტრალიამ რიხით დაიწყო და უმალ დაწინაურდა. ეს იყო და ეს. „ოლ ბლექსს" მაინც კაპიტნობდა ბებერი კვაჭი შონ ფითსპატრიქი, ვინაც აფრიკაში ნატკენი მუხლი სასწაულად მოირჩინა და მეტოქე ისევ ატერორა, აჭავრა და მსაჯსაც საკმაოდ ედავა. რაც მთავარია, „ფითსიმ" თავისი გუნდი ისე დარაზმა, რომ ამათ დაღლილობა არც შეტყობიათ, ისე მოაშთეს მასპინძლები.

გარდატეხა მე-15 წუთის მიდამოში მოხდა. მიამიტმა სმითმა ჩხუბისთავ ბრაიალს რომ უხმო 8 ნომრად, ამ უვარჯიშებელმა ჭეელმა ჯერ მატჩის საუკეთესო მოთამაშე რენდელი გაატარა, რაც ბანსის მე-20 ლელოთი დასრულდა, მერე კი მოლში ბურთი ტუტუცურად დაკარგა, მარშალმა მას ფეხი მიკრა და ვილსონმაც ლელოსკენ გამართული სპრინტი მოუგო მანუსა და როფს.

ბრაიალი უმალ გამოცვალეს. შესვენებაზე გაირკვა, რომ ჰორანს ცერი მოეტეხა. მის ნაცვლად 10 ნომრად მცველი ლარქემი შევიდა და ბექები ცოტათი აათამაშა, რადგან მორისონმა ზელანდიის უკანა ხაზი გააფრთხილა, თამაშგარედან ნუ თამაშობთო.

„ვოლაბებმა" ბარემ ხუთი წუთი უტრიალეს მეტოქის ლელოს, მაგრამ უჭკუოდ უტევდნენ. ილზმა ლელო გაიტანა, მაგრამ შებოჰილმა მეორე მოჩჩაობითლა უწია მიზანს და არ ჩაუთვალეს. ისე კი, მორისონმა ბევრი სტვენით მთლად წაახდინა თამაში: ზელანდია 20-ჯერ დააჯარიმა, ავსტრალია — 10-ჯერ. გარდა ამისა, ილზმა მეტოქეებს დერეფანი 18-10 მოუგო. ყველა სხვა ასპექტში სტუმრებმა გვარიანად აჯობეს მასპინძლებს, რომლებსაც საკუთარი ძალა ალბათ არცა ჯეროდათ, შეტევაში კი მოიერიშის მიყოლა უჭირდათ და ბურთს ხშირად კარგავდნენ.

შესვენებაზე ავსტრალია გასახდელში წავიდა, ზელანდია კი წვიმას არ შეუშინდა და 10 წუთი მოედანზე გაატარა. მასპინძლები რომ ვერაფერს გამორჩნენ, ხალხი ისევ ზელანდიამ შეაქცია: ბრაუნისა და დაუდის მიძალების შემდეგ 21 წლის სპენსერმა მარცხენა ფრთაზე ორი კაცი გამოტოვა, რაც 22 წლის ქალენის ლელოთი დაგვირგვინდა.

„ოლ ბლექსი" 30:6 დაწინაურდა.

ვოლაბებმა" ბოლომდე იბრძოლეს. გრ... განმა ერთხელ მოსწრებულად გაათამაშა ... ჯარიმო, მეორედ კი ლარქემმა ლელოში ... რაგანი აწია, როფმა ბურთს ხელი მიუტყაპ... ნა და ლითლმა დაამიწა. ბოლო ქულები ... ინც სტუმრებმა მოიხვეჭეს — სპენსერმა ... შვიდე ცდით მეშვიდე (!) გოლი გაიტ... მერე ზელანდიამ 20 წუთი იცადა, ვიდ... თასს მოედანზე მიართმევდნენ.

**ლუკა ჯორჯიაშვილი**

II შაბათი

26.07. მელბურნი. „კრიკეტ გრაუნდი"

90 119 მაყურებელი

**ავსტრალია 18:33 ზელანდი...**

(6:23). მსაჯი ედ მორისონი (ინგლის...)

ვოლაბები (ავსტრალია; ასუ ახალი სამ... რეთი უელსი; კ კანბერა; ქვ ქვინზლენდ...):

მეთიუ ბერქი ასუ (სემ პეინი ასუ 77), ჯო როფი კ, ჯეისონ ლითლი ქვ, ჯ... იმზ პოლბექი კ, ბენ თიუნი ქვ; თ... ჰორანი ქვ (სთივ ლარქემი კ 41), ჯორჯ გრეგანი კ

— რიჩარდ ჰარი ასუ, მაიქლ ფოლი ქ... ენდრიუ პისი ასუ; გერიქ მორგანი ქ... ჯონ ილზი (კაპ) ქვ; დანიელ მან... ასუ, ბრეთ რობინსონი კ (დევიდ ვილ... სონი ქვ 61), მაიქლ ბრაიალი ას... (თროი ქოქერი კ 33)

— 2ლ: გრეგანი (67), ლითლი (75); ... (67) და 2ს (3, 28): ბერქი

ოლ ბლექსი (ახალი ზელანდია; მ მან... ვატუ, ო ოთაგო, ჩნ ჩრდ. ნავსაყუდელ... ვ ველინგთონი, ქ ქენთებრი, მიუნიშ... ბლად ოქლენდი):

ქრისთიან ქალენი მ; ჯეფ ვილსონი ... (ადრიან ქეშმორი 41), ფრენკ ბანსი ... ალამა იერემაია ვ, გლენ ოზბორნი ... კარლოს სპენსერი, ჯასთინ მარშალი ...

— ქრეგ დაუდი, შონ ფითსპატრი... (კაპ), ოლო ბრაუნი; იენ ჯოუნზი ... რობინ ბრუქი; თეინ რენდელი ო, ჯო... კრონფელდი ო, ზინზან ბრუქი

— 3ლ: ბანსი (14), ვილსონი (16), ... ლენი (61); 3გ და 4ს (9, 35, 40, 7... სპენსერი

| | თ | მ | ნ | ფ | + | ბ | ლ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზელანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 1 | 68:50 | 7-4 |
| აფრიკა | 1 | 0 | 1 | 0 | 1 | 32:35 | 2-4 |
| ავსტრალია | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 18:33 | 2-3 |

ქულები: მოგება 4, წაგება 0, ფრე ... არაუმეტეს 7 ბურთით წაგება ანაც მე... თხე ლელოს გატანა — თითო დამატებით ... ქულა („+" გრაფა)

შაბათს, პირველი წრის ბოლო ტ... რში, ბრისბენის „სანკორპზე" ავსტრალ... მასპინძლობს სამხრეთ აფრიკას, მეორ... წრე კი 23 აგვისტოს დასრულდება ...

## აფროსნობა

# „ვოლვომ" გადაიბარა

უპრესტიჟულესი გარსაქვეყნო რბოლა ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება. იგი 1973 წელს დაწესდა და იქედან მოყოლებული ვისკის მხდელი „ვითბრედი" სპონსორობდა, რის გამოც შეჯიბრს „ვითბრედის გარსაქვეყნო" ერქვა.

**1997-98** წლების რბოლის სტარტი 21 სექტემბერს, ტრადიციულად საუთჰემტონშია დანიშნული. მონაწილენი იქედან ქეიფთაუნისკენ შეუბერავენ. შეჯიბრში ჯერჯერობით ექვსი ქვეყნის 10 იახტაა ჩაწერილი. სხვათა განაცხადების მისაღებად დრო ჯერაც საკმაოდაა, მაგრამ ეს კი ამთავითვეა ცნობილი, რომ საკუთარი სასპონსორო მოღვაწეობის გამოწვლილვით ანალიზის შემდეგ „ვითბრედი" აფროსნობის მეხობაზე ხელის აღებას აპირებს.

გარიგება მიღწეულია. გაისად 1 ივნისიდან გარსაქვეყნო რბოლას შვედური საავტომობილო გიგანტი „ვოლვო" გადაიბარებს. რაკი სექტემბერში დასაწყებ შეჯიბრს ორი ორგანიზატორი ეყოლება, სახელიც კომპრომისული — „ვითბრედის გარსაქვეყნო რბოლა ვოლვოს თასის მოსაპოვებლად" ერქმევა, XXI საუკუნეში კი დასახელებაში ვისკის ხსენებაც აღარ იქნება.

ბოლო ხანს „ვოლვომაც" კრიტიკულად გადახედა სასპონსორო საქმიანობას და დაასკვნა, რომ ცხენოსნობის მსოფლიო თასის პატრონობაზე ხელი უნდა აეღო. გოლფის ევროპული პროფ-ტური კვლავაც შვედთა საზრუნავი იქნება, აი, ცხენოსნობის ნაცვლად აფროსნობის მფარველობა კი თურმე კომპანიის გლობალურ ინტერესებს შეეფერება.

„სარბიელში"

რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ

**95 26 90**



# წმინდა გრაალის დაბრუნება

ამერიკის თასი 1995 წლის მაისში ახალმა ზელანდიამ მოიგო. მთელს ქვეყანაში დღესასწაული დაიწყო. პატარა ერი ხარობდა, რომ სპორტის იმ სახეობაში, რომელშიც ოსტატობისა და სიმამაცის გარდა უთანამედროვეს ტექნოლოგიასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ვეება ამერიკას აჯობა და თასი წაართვა.

ზელანდიელებმა ამერკის თასი **2000** წელს ოქლენდის აკვატორიუმში უნდა დაიცვან. სამზადისი კარგა ხნის დაწყებულია. მოცილეთა განაცხადებიცა და საწინდრებიც მიღებულია. თავად სანუკვარი ჯილდო — ბრიტანეთის დედოფალ ვიქტორიას დროინდელი ვერცხლის სურა კარგა ხანს განისვენებდა ახალი ზელანდიის სამეფო სააფროსნო ესკადრის საგამოფენო დარბაზში და ეტყობა, ერსა და ბერსაც მივიწყნოდა.

მერე ისეთი რამ მოხდა, რომ მთელს ზელანდიას საქვეყნოდ მოეჭრა თავი. წელს, მარტში, ტომით მაორი ანუ კუნძულთა მკვიდრი, 28 წლის სტუდენტი ბენჯამინ პერი ნეისენი მოტყუებით შევიდა დარბაზში, ზურგჩანთიდან ურო ამოათრია და ესაო და თეთრი კოლონისტები ჩემი ქვეყნიდან უნდა წაეთრიოთო, თასის შუშის კაბინა დალეწა, თავად სურა კი საფუძვლიანად დაჩეჩქვა.

ნეისენი მართლმსაჯულებას უდავიდარაბოდ ჩაბარდა. იგი მაორთა მავანი ექსტრემისტული დაჯგუფების წევრი ყოფილა. ბრალდებულმა სასამართლოზე პროტესტის ნიშნად მუშტიც კი შემართა, მისმა ვექილმა კი ბრძანა, ჩემს კლიენტს თასის ხელყოფა ჩააგონა წარსულის დიდი პოლიტიკოსის — აბრაამ ლინკოლნის ცნობილმა წერილმა, რომელშიც იგი ამბობს, ცხოვრების არსი ცდასა და შეცდომაშია და არა მორჩმით ყოფაშიო.

თასი შესაკეთებელი შეიქნა. ბედად, მისი ესკიზებიცა და ყალიბიც დამზადებიდან 150 წლის შემდეგაც შენახული ქონია ლონდონის საოქრომჭედლო ფირმა „გარარდს". ჰოდა, სამეფო კარის იუველირებმა თასი პირვანდელი სახით აღადგინეს და შუა ივლისში საზეიმოდ გადაცეს ოქლენდის ესკადრას.

მასპინძლებმა ამჯერად ჭკუა იხმარეს. სიფრთხილეს თავი არ ტკივაო და თასის ჩამოტანის დრო გაასაიდუმლოეს. წარდგენაზეც მხოლოდ მედიის მუშაკები მიიწვიეს, მერე კი ჯილდოს სეიფში უკრეს თავი. მას დარბაზში სექტემბერშილა გამოფენენ, როცა გერმანიიდან საგანგებო, უმტკიცესი მინის კაბინა ჩამოუვათ.

მერე და მერე თასს მთელი ქვეყნის მოხილვა ელის. ახალი ზელანდიის გუნდის თავკაცი სერ პიტერ ბლეიქი ჯილდოს ხალხში ჩამოტარებასა და დიდძალი ფულის მოგროვებას აპირებს. ბლეიქს ახლაც თანამემამულეთა პატრიოტობის იმედი აქვს. აკი ორი წლის წინ მთელი ერი ჭყეტელა — წითელ წინდებს იცვამდა, ამათი გასაღებით შემოსული ფული კი მთლიანად ნავ „ბლექ მეჯიქის" (შავი მაგიის) აღჭურვას მოხმარდა და ამანაც მართლაც რომ სასწაული მოახდინა — ამერიკელებს სათასო რბოლები სან-დიეგოს აკვატორიუმში მშრალი ანგარიშით მოუგო.

**რეზო ნემსაძე**

სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ ბიბინეიშვილი
მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29